მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელ. 13—80.

გაზეთის დღევანდელ ნომერს თანდართული აქვს „ახალგზელი“

დღიური

— პარიზში ჩავიდა ჩიჩერინი.
— განაჩენმა ინგლისელ კომუნისტების საქმეზე აღშფოთება გამოიწვია ინგლისის მუშათა კლასში.
— ერიომ ვერ შესძლო მთავრობის შედგენა.
— თეთრგვარდიელებს უნდოდათ ამხ. კარახანის მოკვლა.
— ავსტრიაში დააპატიმრეს ავანტიურისტი, რომელიც აპირებდა ყალბი ჩერვონცების დამზადებას.

შაბათი, 28 ნოემბერი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 274 (1429)

„კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა
დეკემბრისათვის
ერთი თვით გაზეთი ეღირება:
მუშა-მოსამსახურეების, გლეხების, წითელარმიელების და მასწავლებლებისათვის თბილისში და პროვინციაში 90 კაპ.
ყველა დანარჩენებისათვის თბილისში და პროვინციაში 1 მ. 20 კ.
ყველა ხელისმომწერლებს დაურიგდებათ
უფასოთ შემდეგი დამატებები:
„მეცნიერება და ტეხნიკა“
თვეში ორი ნომერი
და „ჩიპალდანი-ს მაგიერ
ჟურნალი „დროშა“
იუმორისტული განყოფილებით
თვეში ორი ნომერი

კვირას, 29 ნოემბერს
„კომუნისტი“-ს კანტორა
ღია იქნება
დილის 9 საათიდან
ნაშუადღევის
4 საათამდე

ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ძალების ზრდა ჩინეთში

სულ უკანასკნელ დღეებში არსებითი გარდატეხა მოხდა ჩინეთის მებრძოლ ძალთა განწყობილებაში.

როგორც ვიცით, ბოლო დრომდე ომში წარმოებდა მხოლოდ ჩან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს არმიებს შორის. მუკდენის ჯგუფი (ჩან-ძო-ლინის მეთაურობით) გაბატონებულია უმთავრესად ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის პროვინციებში. ჩილის ჯგუფს (უ-პეი-ფუ) უკავია ქვეყნის შუა ნაწილი.

ჩან-ძო-ლინი მოციქულია უკიდურესი რეაქციის და შეურიგებელი მტერი ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობის; იგი იმპერიალიზმის, კერძოდ იაპონიის აგენტს წარმოადგენს. მან „სახელი გაითქვა“ მუშათა ორგანიზაციების დარბევით, შეუბრალებლად უსწორდება მშრომელ მასსების მოძრაობას, მიმართულს ქვეყნის განახლებისაკენ და უცხოელთა უღლის გადაგდებისაკენ. სამაგიეროდ ჩან-ძო-ლინი პირდება იმპერიალისტებს მათი პრივილეგიების დაცვას, თუ მას დაეხმარებიან თავის ძალა-უფლების გაფართოვებასა და განმტკიცებაში. ამით ჩან-ძო-ლინმა საყოველთაო სიძულვილი დაიმსახურა ჩინეთის მოწინავე ელემენტებში.

ჩან-ძო-ლინისაგან ამ მხრივ არსებითად არ განსხვავდება მისი მოწინააღმდეგე, უ-პეი-ფუ, ჩინეთის მთავრობის ყოფილი მეთაური. თუმცა მას სურს მიიმხროს ჩინეთის მოსახლეობა და ამიტომ თავის თავს აცხადებს ქვეყნის დამოუკიდებლობისა და გაერთიანებისათვის მებრძოლად, მაგრამ ეს შეცდომაში ვერავის შეიყვანს. მისი ახლო წარსული და ეხლანდელი მოქმედებაც აშკარად ხდის, რომ მისთვის სრულებით უცხოა ჩინეთის ნაციონალური ინტერესები და ხალხის უფლებები. ამასწინად იგი ეფიცებოდა იმპერიალისტებს მათ მიერ ჩინეთზე მოხვეულ დამამონებელ ხელშეკრულებათა ხელშეუხლებლობაში. არავის დავიწყებია მის მიერ მუშების შეუბრალებელი მასიური დახვრეტაც.

ორივე ჯგუფის (ჩან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს) ფეოდალ-მილიტარისტები ებრძვიან ერთი მეორეს თავისი გაძლიერებისათვის, ახალი ტერიტორიების დასაპყრობად და საბოლოო მიზნად ისახავენ მთელ ჩინეთზე თავის ძალა-უფლების გავრცელებას.

ამ ბრძოლაში ბოლო დრომდე ნეიტრალური პოზიცია ეკავა ე. წ. სახალხო არმიებს, რომელთა საერთო ხელმძღვანელია ფინ-იუ-სიანი და რომელთა გავლენის სფეროშია მოქცეული ჩრდილო-დასავლეთი ჩინეთი თვით პეკინის ჩართვით. მას არ აქვს კავშირი გარეშე ძალასთან და მხარს უჭერს ჩინეთის განახლებას და ნაციონალურ მოძრაობას. მისი ძალაც სწორედ ამაში მდგომარეობს. ხალხი ძლიერ თანაგრძნობას იჩენს მისდამი და ახალ-ახალი რაზმები ავსებენ სახალხო არმიებს. გაჩაღებულ სამოქალაქო ომში ის მონაწილეობას არ იღებდა, იგი ამაგრებდა თავის შეიარაღებულ ძალას, თვალყურს ადევნებდა ჩან-ძო-ლინსა და უ-პეი-ფუს შორის მიმდინარე ბრძოლის მსვლელობას და უცდიდა მათ დასუსტებას. რომელიმე ერთი მათგანის საბოლოო გამარჯვება მისთვის არ არის ხელსაყრელი, რადგან ორივე მისი მტერია, რამდენადაც იგი დგას ჩინეთის ნაციონალურ თავისუფლების და მთლიანობის და რამოდენიმედ დემოკრატიის თვალსაზრისზე.

როცა უ-პეი-ფუმ ნაწილობრივ დაამარცხა ჩან-ძო-ლინი, სახალხო არმიისათვის დადგა მომენტი, როცა ის უნდა ჩაბმულიყო ბრძოლაში და იგი ჩაება კიდეც, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ. ამან გადასწყვიტა მუკდენის დიქტატორის ბედი. შეტევაზე გადასულმა მეორე სახალხო არმიამ (იუნ-ვეი-გუნის სარდლობით) აიღო ქალ. ბაოდინი, მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, რითაც მეტად განმტკიცდა სახალხო არმიების მდგომარეობა. ბაოდინის დაკარგვამ ლახვარი ჩასცა ჩან-ძო-ლინს, რომელიც შეუჩერებლივ იხევს უკან. ჩქარა ის მანჯურიაში იქნება ჩაკეტილი. მის მდგომარეობას უფრო კრიტიკულს ხდის ის გარემოება, რომ თვით მის ჯარებს დაეტყო დაშლის პროცესი. გაიქცა მისი არმიის შტაბის უფროსი. მრავალი ცალკე გენერლები და ნაწილები აჯანყდენ. ჩან-ძო-ლინის დამარცხება უდიდესი გამარჯვებაა ჩინეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის.

რა მდგომარეობა შეიქმნება ამის შემდეგ? საკითხი პირველ ყოვლისა ეხება ფინ-იუ-სიანისა და უ-პეი-ფუს დამოკიდებულებას. დაიწყება თუ არა მათ შორის ბრძოლა? როგორც დღევანდელი დეპეშები იტყობინებიან, თითქო შემდეგი შეთანხმება მომხდარა გომინდანის მემარცხენე ფრთასა, სახალხო არმიებსა და ჩილის პარტიას (უ-პეი-ფუ) შორის: უნდა აღმოეჩინოს დახმარება გომინდანის მემარცხენე ფრთას; მუკდენის (ჩან-ძო-ლინის) გავლენა უნდა იქნას საბოლოოდ აღმოფხვრილი, ჩინეთის მთავრობა უნდა შესდგეს „კომიტეტების“ საფუძველზე. შესაძლებელია ფინ-იუ-სიანმა ჯერჯერობით თავი შეიკავოს უ-პეი-ფუს წინააღმდეგ გალაშქრებაზე და დაკმაყოფილდეს ჩან-ძო-ლინის განადგურებით და პეკინის მთავრობის რეორგანიზაციით. ფინის მოქმედება დამოკიდებულია ძალთა განწყობილებაზე და ნაციონალურ მოძრაობის სიმწიფის დონეზე.

ფინ-იუ-სიანის მიერ პეკინის გარნიზონის უფროსის დაპატიმრება და ხმები, რომ მას თითქოს განზრახვა ჰქონდეს მოახდინოს სხვა დაპატიმრებანიც, თვით მთავრობის წევრებისაც კი, მოწმობს, რომ იგი ცდილობს შექმნას ისეთი კაბინეტი, რომელიც მიზნად დაისახავს ჩინეთის ნამდვილ გაერთიანებას და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წარმოებას. ამ მხრივ ფინისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება გომინდანთან მჭიდროდ დაკავშირებას. გომინდანის პარტია, რომელიც გაბატონებულია სამხრეთ ჩინეთში, საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენს. კანტონის რევოლიუციონურმა მთავრობამ ბოლო ხანებში მთელ რიგ მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია როგორც იმპერიალისტების (ინგლისის), ისე ჩინელი რეაქციონერების წინააღმდეგ. სახალხო არმიების და გომინდანის კავშირი შექმნის ყველაზე უფრო სერიოზულ ძალას ჩინეთში. ეს კავშირი საჭირო იქნება კერძოდ უ-პეი-ფუს წინააღმდეგ, რომელთანაც გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება აუცილებლად მოუხდება როგორც ფინს, ისე მით უფრო კანტონის მთავრობას.

ეხლა შეუძლებელია იმის თქმა, თუ კონკრეტულად, როგორ განვითარდება ახლო მომავალში სამოქალაქო ომი; მაგრამ ერთი რამ ცხადია: ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ძალები თანდათან იზრდებიან და აშკარად ამარცხებენ რეაქციას. ამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა არა მარტო ჩინეთის შინაური ცხოვრებისათვის, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც: ჩინეთის გაერთიანება და მის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება მსოფლიო იმპერიალიზმის აღსასრულის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია.

სამოქალაქო ომი ჩინეთში

აჯანყება ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ ფართო ხასიათს იღებს

ჩან-ძო-ლინის შტაბის უფროსი იან-გუ-ტინი გაიქცა

გომინდანის მემარცხენე ფრთის, ფინ-იუი-სიანის და უ-პეი-ფუს შეთანხმება ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ

ამხ. კარახანი ხარბინში.—ბანკეტი კარახანის საპატივსაცემოდ

დაპატიმრებულია თეთრგვარდიელები, რომლებიც კარახანის მოკვლას აპირებდნენ

აჯანყება ჩჟან-ცზო-ლინის წინააღმდეგ

ხარბინი, 26 ნოემბ. იაპონიის დეპეშათა სააგენტოს ატყობინებენ მუკდენიდან, რომ მანჯურიის რკინის გზის სადგურებზე დაიწყო აჯანყება ჩჟან-ცზო-ლინის წინააღმდეგ. მუკდენ-პეკინის ხაზზე შეწყვეტილია მატარებლების მიმოსვლა და სატელეგრაფო კავშირი.

სადგურ ეან-ჩა-ტონის მახლობლად აჯანყდა მუკდენის ჯარების სამი ბრიგადა. რაიონში სრული არეულობაა.

გენერალი გო-სუნ-ლინი, რომელიც ხელმძღვანელობს აჯანყებას შანხაი-გუანში, გამოცხადებულია მუკდენის მიერ მეამბოხედ.

საბაჟო ავტონომია.

პეკინი, 26 ნოემბ. შანხაის საევროპო პალატამ გაგზავნა პეკინში დეპეშა, რომელშიაც დაჟინებით მოითხოვს, რომ ამავე წელს იქნეს განხორციელებული ჩინეთის საბაჟო ავტონომია. პალატა გადაჭრით ეწინააღმდეგება იმას, რომ ავტონომია განსაზღვრულ იქნეს „ლიცზინის“ (შინაური ბაჟების) გაუქმებით. ამასთან ერთად პალატა მოითხოვს, რომ საბაჟო შემოსავალი შედიოდეს არა ინგლისის, არამედ ჩინეთის ბანკებში.

სამხედრო წესების გამოცხადება

პეკინი, 26 ნოემბ. მთელი ჩიხარის ოლქში, აგრეთვე ქალაქ კალგანშიაც, რომელიც ფინ-იუი-სიანის ხელში იმყოფება, გამოცხადებულია სამხედრო წესები.

იან-გუ-ტინის გაქცევა

პეკინი, 26 ნოემბ. მუკდენის ჯარების შტაბის უფროსმა, გენერალმა იან-გუ-ტინმა, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ჩან-ძო-ლინის მომხრეებს შორის, დაუგზავნა ყველა ჯარის უფროსებს დეპეშები მისი გადადგომის შესახებ და თვითონ კი გაიქცა დაირენში.

კარახანი ხარბინში.

ხარბინი, 26 ნოემბ. მუკდენში საბჭოთა საკონსულოში კარახანმა მიიღო ჩჟან-ძო-ლინი. საღამოს ჩჟან-ძო-ლინი კარახანს ბანკეტს გაუმართავს.

მუკდენის გავლენის ლიკვიდაცია

პეკინი, 26 ნოემბ. დეპეშათა სააგენტოების ცნობით, გომინდანის მემარცხენე ფრთას, სახალხო არმიებსა და ჩჟილის პარტიებს (უ-პეი-ფუ) შორის მოხდა ასეთი შეთანხმება: გომინდანის მემარცხენე ფრთას უნდა გაეწიოს დახმარება, მუკდენის გავლენა საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას; ჩინეთის მთავრობა შედგენილ უნდა იქნეს კოალიციონურ საფუძველზე.

მდგომარეობის გამწვავება.

პეკინი, 26 ნოემბ. მდგომარეობა ამ ჟამად ჩინეთში იმდენად რთულია, რომ შეუძლებელია იქაური ამბების ნათელი სურათის წარმოდგენა. მდგომარეობა თითოეულ წუთში რთულდება. ვრცელდება ათასგვარი ჭორები. მაგალითად, ხმები ჩჟან-ძო-ლინის დატყვევებისა და თვითმკვლელობის შესახებ მართალი არ გამოდგა. მუკდენიდან მიღებულ ცნობების თანახმად ჩჟან-ძო-ლინი იქ იმყოფება და მისი მდგომარეობა ჯერ საკმაოდ მტკიცეა.

ხმები ჩჟან-ძო-ლინის მთავარი შტაბის უფროსის იან-გუ-ტინის დაირენში გაქცევის შესახებ დადასტურდა.

ფიქრობენ, რომ ჩჟილის პროვინციის ჯარების უფროსი ლი-ჩჟი-ლინი, რომელმაც ამ დღეებში გამოაცხადა ჩჟილის დამოუკიდებლობა ჩჟან-ძო-ლინისაგან, შეიძლება გამოვიდეს სახალხო არმიების წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელნი შეეცდებიან დაიჭირონ მთელი ჩჟილის პროვინცია, განსაკუთრებით ტიანძინი.

საერთო ყურადღება მიპყრობილია ფინ-იუი-სიანზე, რადგან მის მოქმედებაზე დამოკიდებული ამბების შემდეგი განვითარება. ფიქრობენ, რომ ფინ-იუი-სიანი არ დაკმაყოფილდება უმნიშვნელო ცვლილებებით არსებულ მთავრობაში. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესო ხდება ფინ-იუი-სიანის მიერ პეკინის გარნიზონის უფროსის ლუ-ჩჟუნ-ლინის დაპატიმრება. ლუ-ჩჟუნ-ლინი ცდილობდა პეკინიდან გაქცევას ტიანძინში. მისმა დატყვევებამ კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა.

იტყობინებიან, თითქოს ფინ-იუი-სიანის ჯარები მიიწევენ პეკინისაკენ და ყოველ წუთში მოსალოდნელია თვით მთავრობის ზოგიერთი წევრების დაპატიმრება.

ჩინეთის პრესა დიდ მნიშვნელობას აძლევს იმას, რომ ხუან-ფუ, რომელიც უკანასკნელი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ წარსული წლის ნოემბერში ასრულებდა პირველი მინისტრის თანამდებობას, ჩავიდა კალგანში ფინ-იუი-სიანთან ერთად მთავრობის რეორგანიზაციის საკითხის განსახილველად.

ავსტრიელ ავანტიურისტის დატყვევება

ხარბინი, 26 ნოემბ. დატყვევებულია ავსტრიელი ავანტიურისტი როტმისტრი სკარლატი, რომელიც თანამშრომლობდა რუსულ მონარქისტულ გაზეთში „რუსკი გოლოს“ და იაპონურ გაზეთში „აღმოსავლეთი“.

სკარლატის დატყვევება მოხდა თანახმად იაპონური გაზეთის „ნიცი-ნიცის“ რედაქტორის განცხადებისა იმის შესახებ, რომ სკარლატიმ წინადადება მისცა მას დაემზადებინათ ერთად 400.000 ყალბი ჩერვონეცი.

თეთრგვარდიელები ამზადებენ თავდასხმას კარახანზე

ხარბინი, 26 ნოემბ. ხარბინში დატყვევებულია რამოდენიმე თეთრგვარდიელი; მათ რიცხვში გენერალი ზაგოსკინი, რომელთაც ბრალდება მიეცემა კარახანზე თავდასხმისათვის.

საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება

„მხოლოდ მუშათა და გლეხთა მთავრობა იხსნის საფრანგეთს“

სოციალისტები არ შევლენ ერიოს მიერ შედგენილ მთავრობაში

საფრანგეთის პოლიტიკური წრეები ცდილობენ ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას საბჭ. კავშირთან

ფრანკის კურსი კატასტროფიულად ეცემა

მუშების ხმა.

პარიზი, 26 ნოემბ. საფრანგეთის კომპარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება მუშებისადმი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიის კრიზისი იმდენად ღრმა არის და მუშათა და გლეხთა მასსების გავლენა კაპიტალისტებზე იმ მიზნით, რათა უკანასკნელებმაც გაიზიარონ ფინანსიური გაჭირვება, ისე ძლიერია, რომ 80 დეპუტატმა მათ შორის რამდენიმე რადიკალ-სოციალისტმა უარი განაცხადა თავის ფინანსიურ პროექტზე და ხმა მისცეს კომუნისტების პროექტს.

კომპარტია,—ნათქვამია შემდეგ მოწოდებაში—სისტემატიურად წინააღმდეგ მისცემს ხმას ყოველგვარ მემარჯვენე მთავრობას და მზად არის დაიცვას რეაქციის შემოტევისაგან ყოველი წმინდა სოციალისტური, ან საერთოდ მემარცხენე ბლოკის მთავრობა, თუ კი ის შემოიღებს კაპიტალზე პროგრესიულ გადასახადს, გადაჭრის ფინანსიურ კრიზისს კაპიტალისტების ხარჯზე, ჩამოაგდებს დაუყოვნებლივ ზავს მაროკოსა და სირიაში, შეუდგება განიარაღებას, მოსპობს ფაშისტურ ლიგებს და გასწმენდს არმიასა და ადმინისტრაციას ფაშისტურ ელემენტებისაგან.

კომუნისტებმა იციან, რომ ამ პროგრამის განხორციელებას ვერ შესძლებს მემარცხენე ბლოკის მთავრობა. მაგრამ მათ სურთ გაუადვილონ ეს აუცილებელი ცდა მემარცხენე ბლოკის მიერ მოტყუებულ ფართო მასსებს.

მოწოდება აღნიშნავს, რომ არც ეს, კომპარტიის მიერ წამოყენებული ზომები გადასჭრიან დღევანდელ კრიზისს. მხოლოდ მუშათა და გლეხთა მთავრობისათვის უშუალო ბრძოლას შეუძლია მიგვიყვანოს ამ კრიზისის საბოლოო გადაჭრამდე.

ერიოს თათბირი.

პარიზი, 26 ნოემბერი. ერიოს თათბირი ჰქონდა მემარცხენე ბლოკის პარტიების ცენტრალურ კომიტეტების და სენატის მემარცხენე ფრთის წევრებთან. თათბირზე ირჩეოდა საკითხი ახალ მთავრობაში პარლამენტის უმრავლესობის სხვადასხვა ჯგუფთა მონაწილეობის შესახებ.

„ყოველგვარ პირობებს გარეშე“.

პარიზი, 26 ნოემბერი. პალატის და სენატის მემარცხენე ბლოკის ფრაქციების ხელმძღვანელთა კრებაზე ერიო მოუწოდებდა დამსწრეებს მხარი დაეჭირათ ახალი კაბინეტისათვის ყოველგვარ პირობების გარეშე მემარცხენე ბლოკის ყველა ელემენტებს, რომლებიც დეპუტატთა პალატაში შეადგენენ უმრავლესობას.

ასეთივე მოწოდებით მიმართა ერიომ სოციალისტებსაც. სოციალისტები ერიოს წინადადებას დახვდნენ განსახილველად სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციაში და პარტიის ადმინისტრატიულ კომისიაში.

ერიო ემზადება.

პარიზი, 26 ნოემბერი. ერიომ დაავალა ექსპერტთა კომისიას სასწრაფოდ შეიმუშაოს საფინანსო პროგრამა და გამოიწვია მოსალაპარაკებლად თავისი ყოფილი თანამშრომლები.

სოციალისტების პოზიცია

პარიზი, 26 ნოემბერი. სოციალისტური პარტიის ადმინისტრატიულმა კომისიამ 136 ხმით 10[illegible] წინააღმდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ საპარლამენტო ფრაქცია დაიცავს სოციალისტურ პარტიის ნაციონალური კონგრესის დადგენილებას, რომელიც ეწინააღმდეგება სოციალისტების მონაწილეობას ისეთ კაბინეტში, რომელსაც ადგენს სხვა პარტია.

მთავარი საკითხი

პარიზი, 26 ნოემბ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, საფრანგეთის პალატის სოციალისტურმა ფრაქციამ ერთხმად გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ფრაქცია კვლავ ყველაზე უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევს საფინანსო საკითხს და წინანდებურად მხარს უჭერს თავის საფინანსო კანონპროექტს.

ფრაქცია აცხადებს, რომ საფინანსო რეფორმის განხორციელების მიზნით, ის მზათ არის იკისროს ახალი კაბინეტის შედგენა და ითანამშრომლოს სხვა დემოკრატიულ პარტიებთან იმ შემთხვევაში, თუ მხარს დაუჭერენ ყველა ზომებს, რომლებიც გამოსადეგი არიან ქვეყნის გადასარჩენად.

ერიოს ახალი ცდა

პარიზი, 26 ნოემბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით პარიზის პოლიტიკურ წრეებში ლაპარაკობენ ერიოს ახალი პოლიტიკური კომბინაციის შესახებ; ერიო შეიყვანს კაბინეტში რადიკალებს, რომლებიც დღემდე მემარცხენე ბლოკს არ ემხრობოდენ. საქმე შეეხება ალბად სენატორ-რადიკალების ნაწილს, რომლებიც მემარცხენე ბლოკს არ მიემხრენ.

ბირჟის პასუხი

პარიზი, 26 ნოემბერი. სოციალისტების გადაწყვეტილებას, რომ ისინი შევლენ კაბინეტში, საფრანგეთის საფინანსო წრეებმა უპასუხეს უცხოეთის ფონდების და ვალიუტის გაძლიერებული შესყიდვით. დღის განმავლობაში სტერლინგის ფასმა პარიზის ბირჟაზე აიწია 126-დან 130 ფრანკამდე, დოლარისამ—26-დან 27 ფრანკამდე.

საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის

პარიზი, 26 ნოემბერი. უკანასკნელი ხნის განმავლობაში საფრანგეთის პოლიტიკური წრეები დიდათ ცდილობენ, რომ საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობა დამყარდეს. მემარჯვენეებიც კი სთვლიან აუცილებლად საბჭოთა კავშირთან დაახლოვებას, თუმცა საჭიროდ მიაჩნიათ გარანტიების მიღება, რომ „ფრანგული ახალშენები დაზღვეული იქნებიან კომუნისტური პროპაგანდისაგან“.

სამეურნეო აღმშენებლობის საკითხი

ამხ. კამენევის თეზისები მ-14 პარტყრილობისათვის, მოწონებული რ. კ. პ. ცეკას პოლიტბიუროს მიერ

1. პარტიის ზოგადი ამოცანები სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში

სოციალიზმის განხორციელებისათვის მუშაობა საბჭოთა კავშირში, სადაც დიდ უმრავლესობას გლეხური მოსახლეობა შეადგენს, პარტიის წინაშე აყენებს სამ მნიშვნელოვან ამოცანებს: 1) მრეწველობის გაძლიერება ქვეყნის საერთო ეკონომიკაში, როგორც უშუალო, სოციალისტურ მეურნეობის ერთად-ერთი მტკიცე საფუძვლის და, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის დასაყრდენისა. 2) გლეხობის ჩაბმა სოციალისტურ აღმშენებლობაში ქვეყნის ინდუსტრიალურ აღორძინების საფუძველზე კოოპერაციით ფართედ სარგებლობის საშუალებით, გლეხთა საშუალო და ღარიბ ფენების მეურნეობის გაძლიერებით და ქვეყნის საერთო კულტურულ აღორძინებით. 3) მთელს ამ პროცესში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შენარჩუნება.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება ვსძლიოთ სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში ყოველგვარი დაბრკოლება, რომელიც იქნება სოფლად ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს კაპიტალისტური ურთიერთობით და ამ ურთიერთობის განვითარებით გლეხის წვრილ მეურნეობის და თავისუფალ საქონლის ტრიალის ნიადაგზე.

მეურნეობის სოციალისტური ფორმის კაპიტალისტურზე გამარჯვების ერთ უსაჭიროეს პირობათაგანს წარმოადგენს სახელმწიფო მრეწველობის რაც შეიძლება მეტი რაციონალიზაცია, მისი ტეხნიკური დონის აწევა, მასში შრომის ნაყოფიერების გადიდება და ამასთან დაკავშირებული სახელმწიფო მრეწველობის პროდუქტის ღირებულების შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება. მეორეს მხრივ სოციალისტური აღმშენებლობის—აუცილებელი პირობაა ფართე განვითარება სოფლის საწარმოო ძალებისა, საგლეხო მეურნეობის ტეხნიკური დონის აწევა ყველა არსებული საშუალებებით, სოფლის მოსახლეობის საერთო კეთილდღეობის ზრდა და ამგვარად საგლეხო ბაზრის გაფართოება.

ეს ამოცანები დაკავშირებულია გლეხობის კოოპერაციაში ჩაბმასთან და იმ ზომებთან, რომლებიც მიმართულია მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციისა, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციისაკენ.

ზემო აღნიშნული ამოცანები შეიძლება გადაჭრილ იქნეს მხოლოდ მთელი მოსახლეობის მშრომელთა მასსების აქტიური მონაწილეობით.

ეს მონაწილეობა უნდა გამოიხატოს იმაში, რომ სახალხო მეურნეობის საქმე ყველა მის დარგებში სრულიადაც არ უნდა შეადგენდეს მხოლოდ ცენტრალურ ორგანოების საქმეს, არამედ ცენტრის საჭირო ხელმძღვანელობასთან ერთად ის უნდა შეიქნეს საბჭოთა სისტემის ყველა უჯრედების საქმეთ. (მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები, საოლქო გაერთიანება, ადგილობრივი საბჭოები). საბჭოთა კავშირის ეკონომიურ რაიონებათ დაყოფა, ადგილობრივ საოლქო ორგანოების დაინტერესება საერთო სახელმწიფო ამოცანების გადაჭრაში და ადგილობრივ მრეწველობის ფართედ განვითარება უნდა გახდეს უზრუნველმყოფელი ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოების მუშაობის სწორი ურთიერთობის და მტკიცე კავშირისა სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში.

სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში მუშათა კლასის გავლენა და ხელშეწყობა უნდა გამოიხატოს, უპირველესად ყოვლისა, პროფკავშირების მოღვაწეობაში. პროფკავშირები უნდა ცდილობდენ, არც ერთი მუშა არ დარჩეს მათი ორგანიზაციის გარედ ერთის მხრივ, და იღებდენ უახლოეს მონაწილეობას მრეწველობის ორგანიზაციის და განვითარების საქმეში, მეორეს მხრივ. სახალხო მეურნეობის განვითარებასა და რაციონალიზაციაში მშრომელთა ფართო მასსების მონაწილეობის ასეთივე ფორმით უნდა გადაიქცეს კოოპერაცია, რომელმაც თავის ფარგლებში უნდა მოაქციოს საგლეხო მეურნეობის ყველა მრავალფეროვანი მხარეები.

საბჭოები, პროფკავშირები და კოოპერატიული გაერთიანებანი უნდა გახდენ კომუნისტური მართვა-გამგეობის ნამდვილ სკოლებათ.

პარტიის სპეციალურ ამოცანას დღევანდელ პირობებში უნდა შეადგენდეს მრეწველობის განვითარება კავშირის განაპირა ჩამორჩენილ ოლქებში, სადაც ჯერ კიდევ გაბატონებულია მეურნეობის პატრიარქალური ფორმები.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

გენერალ მაზნიაშვილის მოწოდება

მხედრებისადმი

მე მხედარი ვიყავი, ვარ და დავრჩები, და თუ დღეს კალამი ავიღე ხელში, არა იმიტომ, რომ რაიმე პოლიტიკის წარმოება მინდოდეს, არამედ იმიტომ, რომ მრწამს,—დღეს არც ერთ ქართველს, რომელსაც სამშობლო უყვარს, არ აქვს უფლება გაჩუმდეს შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ორ წელიწადზე მეტია, რაც ემიგრანტი ვარ არა ჩემი ნებით და ამ ხნის განმავლობაში პოლიტიკური ემიგრაციის შუა-გულში ვიყავი პარიზში და მისი ლიდერებისაგან ზოგიერთი პასუხისმგებელი დავალებანიც მიმიღია.

ამ ხნის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ემიგრაციის ლიდერებს არსაიდან არავითარი იმედი რეალური დახმარებისა არ ჰქონიათ, არც ევროპის ოფიციალურ წრეებში და არც თვით რუსის მონარქისტულ წრეებში. ევროპის არც ერთ სახელმწიფოს არ აღუთქვამს დახმარება, არც ჯარით, არც აფიცრებით, არც იარაღით და არც ფულით.

მიუხედავათ ამისა, მენშევიკების მეთაურებმა მოტყუილებით ჩააგდეს აჯანყების ცეცხლში ქართველი ხალხის ნაწილი.

აი მოტყუილებისა და პროვოკაციის მაგალითი: აჯანყების დროს თურმე საქართველოში პროკლამაცია გამოიცა, სადაც ეწერა, რომ გენერალი მაზნიაშვილი ოსმალეთში, ხოფაში, არის მზად დესანტითო, ამ დროს კი მე კიდევ პარიზში ვიყავი.

ასეთი ტყუილებით შეაცდინეს ქართველი ხალხი და რაც მოჰყვა ამას, ყველამ ვიცით...

მაგრამ პარიზის ემიგრაციის ლიდერები მაინც არა სცხრებიან და ახალი, სხვა „მასშტაბის“ აჯანყების გეგმებს სთხზავენ.

ამიტომ მე ჩემ მოვალეობათ ვრაცხ განვაცხადო შემდეგი:

სოციალისტი არა ვარ, მაგრამ წინააღმდეგი ვარ საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის გაგრძელების. ყოველმა ქართველმა უნდა იცნოს საქართველოს დღევანდელი მთავრობა და შეუდგეს სამშობლოს აღმშენებლობითი მუშაობას.

ჩვენ, ქართველ მხედრებს, არასოდეს არ გვეშინოდა ჩვენი სისხლის შეწირვის სამშობლოსათვის, მაგრამ დროა შეწყდეს ამ სისხლის ღვრა ევროპაში თბილად მოკალათებულ პოლიტიკანების ავანტიურებისათვის.

მე მოუწოდებ კერძოდ იმ ქართველ მხედრებს, რომლებთან ერთად არა ერთი სახელოვანი ბრძოლის ტრადიცია მაერთიანებს,—უსმინონ დღესაც თავიანთ მოხუც სარდალს!

5 ნოემბერი 1925 წ.
პარიზი.

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი.

(„ახალი საქართველო“ № 14).

უკანასკნელი ცნობები

ჩიჩერინი პარიზში

პარიზი, 26 ნოემბ. 26 ნოემბერს ჩიჩერინი პარიზში ჩავიდა.

ჩიჩერინი ბრიანთან და ერიოსთან

პარიზი, 26 ნოემბ. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ ჩიჩერინმა რაკოვსკის თანხლებით ინახულა ბრიანი და ერიო.

ერიომ უარი სთქვა

პარიზი, 26 ნოემბერი. ერიომ უარი განაცხადა მთავრობის შედგენაზე.

უდღეური მთავრობა

ვარშავა, 26 ნოემბ. სეიმში კამათის დროს სკშინსკის დეკლარაციის გამო დეპუტატ გლომბინსკიმ სახალხო ნაციონალურ კავშირის სახელით და დომბსკიმ პიასტას სახელით კმაყოფილება განაცხადეს კოალიციონურ მთავრობის შედგენის გამო.

ვიზვოლენიეს სახელით დეპუტატ პუტეკმა განაცხადა, რომ მისი პარტია ოპოზიციაში იქნება. მთავრობა უდღეურია და ის ვერ გადასწყვეტს მის წინაშე წამოყენებულ ამოცანებსო.

ბელორუსიის გრომადის სახელით ვიალოშინმა გააკრიტიკა მთავრობა და განაცხადა, რომ მხოლოდ მუშურ-გლეხური მთავრობა გამოიყვანს ქვეყანას ცუდ მდგომარეობიდანო.

უმუშევრობის შესახებ

ლონდონი, 26 ნოემბ. ინგლისის პარლამენტმა 322 ხმის უმრავლესობით 133 წინააღმდეგ უარყო მუშათა ფრაქციის წინადადება მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ უმუშევრობის საკითხის მოგვარების უშედეგოთ დარჩენის გამო.

რუმინეთის ოკუპანტების ძალადობა

ვენა, 26 ნოემბ. რუმინეთის სენატის ერთ-ერთ სხდომაზე სენატორ ალექსანდრიმ განაცხადა, რომ ოკუპანტების სიმხეცე მოთმინებიდან გამოიყვანს ბესარაბიის მცხოვრებთ და ისინი კვლავ მიმართავენ საშუალებას გაინთავისუფლონ თავი რუმინეთის უღლისაგან.

სენატორი ალექსანდრი 1913 წელში მომხრე იყო ბესარაბიის რუმინეთზე შეერთების

კულტურული კავშირი საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის

პარიზი, 26 ნოემბ. პროფ. სილვენის, ლევის და ლანჟევენის ინიციატივით სორბონში შესდგა საფრანგეთის რამდენიმე მეცნიერის კრება საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კულტურული კავშირის დამყარების კითხვის გასარჩევად. კრებას დაესწრნენ ჩლენოვი და გორბუნოვი.

სლავიანურ ლიტერატურის პროფესორი მაზონი ამორჩეულია „დაახლოვების კომიტეტის“ მდივნათ.

დიდი ხურულდანის სესია

ულან-ბატორი, 27 ნოემბერი. დიდი ხურულდანის უკანასკნელ სესიაზე მიღებულ იქნა მთელი რიგი კანონებისა, რომელიც სრულიად სცვლის მონგოლეთის რესპუბლიკის საბაჟო და საგადასახადო სისტემას.

შემოღებულია საკუთარი ნაციონალური ფულის სისტემა, გადაწყვეტილია გაიწმინდოს ძველი ადმინისტრატიული აპარატი.

ამ რეფორმების მიზანია ქვეყნის დემოკრატიზაცია და მშრომელთა დიქტატურის განმტკიცება.

კომუნისტებისთვის მხარის დაჭერა.

ლონდონი, 26 ნოემბ. ტრედ-იუნიონების საბჭომ და მუშათა პარტიის ცეკამ საერთო სხდომაზე გადასწყვიტეს აიღონ თავის მფარველობის ქვეშ რემედასის მიერ შექმნილი ფონდი კომუნისტების დასახმარებლათ და ყოველმხრივ დაეხმარონ რემედასს.

ბრიანი თანახმაა

პარიზი, 26 ნოემბ. პრეზიდენტმა დუმერმა ხელახლათ მისცა წინადადება ბრიანს მთავრობის შედგენის შესახებ. ბრიანი დათანხმდა.

ლოკარნოს ხელშეკრულობის დამტკიცება

ბერლინი, 26 ნოემბ. გერმანიის რეიხსტაგმა მიიღო კანონპროექტი ლოკარნოს ხელშეკრულობის და გერმანიის ხალხთა ლიგაში შესვლის შესახებ.

კანონპროექტის პირველი პარაგრაფი, რომელიც ეხება ლოკარნოს ხელშეკრულობის მიღებულია 271 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 159 ხმის ნაციონალისტების, ნაციონალ-სოციალისტების, კომუნისტების და სამეურნეო პარტიის ნაწილისა,

ამავე უმრავლესობით უარჰყვეს წინადადება, რომლის ძალით გერმანიის ხალხთა ლიგაში შესვლა დამოკიდებულ უნდა იქნეს სპეციალურ კანონისაგან.

ინგლისის კომპარტიის ცეკას მოწოდება

ლონდონი, 26 ნოემბერი. ინგლისის კომპარტიის ცეკამ მოწოდებით მიმართა პარტიის წევრებს, რომელშიც ის მოაგონებს მათ, რომ დღეს როგორც არასოდეს საჭიროა აუხსნათ მუშებს, რომ ბრძოლა, რომელსაც კომუნისტები აწარმოებენ, არის ბრძოლა მუშათა კლასის ინტერესებისთვის. მოწოდება წინადადებას იძლევა გააძლიერონ მუშაობა პროფკავშირებში და მუშათა წრეებში.

სამეურნეო აღმშენებლობის საკითხები

ამხ. კამენევის თეზისები მე-14 პარტყრილობისათვის, მოწონებული რ.კ.პ. ცეკას პოლიტბიუროს მიერ

(გაგრძელება)

2. მიღწევები

მიუხედავათ იმისა, რომ მეტად ძნელია სოციალისტურ მეურნეობის მშენებლობა დანგრეულ აგრარულ ქვეყანაში კაპიტალიზმის გარემოცვის დროს, მიღწეულია ფრიად თვალსაჩინო შედეგები:

ჩვენს კავშირში მშვიდობიანი მშენებლობა სულ რაღაც 4 წელიწადს ითვლის. ამ წლებს ახასიათებდა სისტემატიური, შეუწყვეტელი აღორძინება სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში. ამასთან კერძოდ გასულ სამეურნეო წელს გადადგმული იყო უდიდესი ნაბიჯი წინ, ხოლო მომავალ სამეურნეო წელს აუცილებლად იქნება მიღწეული ომის წინა დროის დონე და დაიწყება სოციალისტური მეურნეობის ახალი ეტაპი, რომელშიაც სიმძიმის ცენტრი გადატანილი იქნება მთელი სახალხო მეურნეობის და, კერძოთ, მრეწველობის გაფართოებისა და გარდაქმნის სფეროში.

ეს აღორძინება ამტკიცებს იმას, რომ პროლეტარიატის დიქტატურამ გადასჭრა ქვეყნის აღდგენის წინასწარი ამოცანები იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომების შემდეგ.

სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქცია უდრიდა 1923—24 წელს 8.116 მილიონ მანეთს, 1924—25 წელს—8.106 მილიონს, ხოლო 1925—26 წელს—10 მილიარდ მანეთზე მეტი იქნება.

სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის ღირებულება ომის წინა დროის მანეთებში 1923—24 წელს უდრიდა 1.854,5 მილიონ მანეთს 1924—25 წელს—2.998,3 მილიონ მანეთს და 1925—26 წელს—4.511,7 მილიონ მანეთს.

მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი უდრიდა 1923—24 წელს—1.516,7 ათას კაცს, 1924—25 წელს 1.846,9 ათასს, 1925—26 წელს განზრახულია გადიდება 2.300 ათას კაცამდე (სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობების თანახმად).

ნავთის ამოღება 1923—24 წელს უდრიდა 862,46 მილიონ ფუთს (64,5 პროც. ომის წინადროის ამოღებასთან შედარებით), 1924—25 წელს—423,7 მილიონ ფუთს (ომის წინა დროის ამოღების 75,5 პროც-ს) და წინასწარ გეგმის მიხედვით მიმდინარე წელს იგი მიაღწევს 521,4 მილიონ ფუთამდე (ომის წინა დროის ამოღების 93 პროც.).

ნახშირის ამოღება ამავე წლებში უდრიდა: 262,5 (54,5 პროც.), 972,4 (55,8 პროც.) 1.514,5 (86 პროც.); მარტენის—562,8 (22 პროც.), 698,3 (14,3 პროც.), 1.825 (71 პროც.), თუჯის—402,9 (15,6 პროც.), 795,1 (18,9 პროც.), 1.512,1 (48,7 პროც.), 17.996,3 (70 პროც.); დამზადებული ქსოვილების რაოდენობა—1.174,7 მილიონ არშინს (35 პროც.), 2.095,5 მილ. არშ. (62 პროც.) 3.051,1 მილ. არშ. (90,5 პროც.).

291 ტრესტის სავაჭრო ბრუნვა 1924—25 წ. უდრიდა 3.623,6 მილიონ მანეთს, ე. ი. გაიზარდა შედარებით წარსულ წელთან 52,4 პროცენტით.

12 სინდიკატის ბრუნვა ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა 76 პროცენტით და მიაღწია 1.130,2 მილიონ მანეთს.

დანარჩენ სახელმწიფო-სავაჭრო ორგანიზაციების ბრუნვამ ერთი წლის განმავლობაში მიაღწია 800 მილიონ მანეთს, გაიზარდა ორჯერ.

სამომხმარებლო კოოპერაციის ბრუნვის გადიდება ერთი წლის განმავლობაში უდრის 55 პროც.-ს წასულ წელს იგი უდრიდა 3.720 მილიონ მანეთს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ბრუნვა შარშანდელთან შედარებით გაიზარდა 57 პროც.-ით. 1924—25 წლის განმავლობაში მიაღწია 996,7 მილიონ მანეთს.

საშუალო-დატვირთვა დღე-ღამეში, რომელიც 1923—24 წელს უდრიდა 13.600 ვაგონს, 1924—25 წელს—ავიდა 17.398 ვაგონამდე და 1925—26 წელს აშკარად გადააჭარბებს 22.000 ვაგონს.

გადაზიდულ ტვირთების საერთო რაოდენობა უდრის ამისდამიხედვით 4.120,1, 5040 და 6.410 მილიონ ფუთს.

ხმარებაში გამოშვებულ ფულის საერთო ჯამი გაიზარდა ერთი წლის განმავლობაში 627,1 მილიონ მანეთიდან (1923—24 წ.) 1.246.899,5 ათას მანეთამდე (თითქმის ორჯერ).

კრედიტების საერთო ჯამი, რომელიც სახელმწიფო ბანკმა და ხუთმა სააქციონერო საზოგადოებამ მისცეს სახალხო მეურნეობას 1923—24 წელს, უდრიდა 956,8 მილიონ მანეთს. 1924—25 წ.—1.997 მილიონ მანეთს, (გაიზარდა 209 პროცენტით), მიმდინარე წელს კი იგი გადააჭარბებს 3 მილიარდ მანეთს.

1923—24 წლის ბიუჯეტი უდრიდა 1.917 მილიონ მანეთს, 1924—25 წელს—2.800 მილიონ მანეთს, და 1925—26 წელს ბიუჯეტი ნავარაუდევია 4.000 მილიონ მან.

ასეთი აღორძინება შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ პარტიის სწორი პოლიტიკის წყალობით, რაც დამყარებული იყო მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებაზე.

მხოლოდ ორი ძირითადი კლასის ინტერესების სწორი შეფარდებით, მხოლოდ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საშუალებით შეიძლებოდა ზემოაღნიშნულ შედეგების მიღწევა.

მიღწეული შედეგები სავსებით ამტკიცებს იმას, რომ პარტია 1923 წლიდან იძლეოდა სწორ დირექტივებს იმის შესახებ, რომ საჭიროა „მთელი სამეურნეო პოლიტიკის შეთანხმება გლეხის მეურნეობის განვითარების დონესთან", რომ სოციალისტური მშენებლობის თვალსაზრისით არ შეიძლება პროდუქტების ფასების იმგვარათ გადიდება, რაც მცხოვრებლების ძირითადი მასისათვის მიუწვდომელი იქნება, რომ „საჭიროა მასიურ ბაზართან შეგუების პოლიტიკის გატარება, თვითღირებულების შემცირება და მასიურ მოხმარების საგნების წარმოების გაიაფება და გლეხთა მასიურ ბაზრისაკენ გზის გაკაფვა". რომ „საჭიროა მრეწველობის განვითარების ტემპი ზედმიწევნით იქნას შეთანხმებული გლეხთა ბაზრის მოცულობის გაფართოებასთან".

ამ პოლიტიკის განხორციელებამ წარსულ პერიოდში განამტკიცა მრეწველობის მდგომარეობა, გააფართოვა გლეხთა ბაზრის ტევადობა, განამტკიცა გლეხობის ფართო მასების ნდობა სოციალისტურ მშენებლობისადმი და პროლეტარიატისადმი, როგორც მის ხელმძღვანელისადმი. ეს პოლიტიკა საშუალებას გვაძლევს დღეს სახალხო მეურნეობის საერთო აღორძინების ნიადაგზე, გადავსდგათ დიდი ნაბიჯი ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ ელემენტების გაფართოების საქმეში.

მომავალში პარტიის სამეურნეო პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს იმავე საფუძვლებს, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ბაზრის ტევადობის ზრდა, გლეხთა მეურნეობის აღორძინება და სახელმწიფო მრეწველობის გაფართოების შესაძლებლობა და აუცილებლობა, ქვეყნის დოვლათის საერთო დაგროვებასთან დაკავშირებით.

3. ზრდის სიძნელენი და მათი გადალახვა

სახალხო მეურნეობის საერთო აღორძინება მომავალ სოციალისტურ მშენებლობისათვის ქმნის ახალ პირობებს, რომელთაც ახასიათებს ერთგვარი სპეციფიური სიძნელენი. ეს სიძნელენი პირველ ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს მეურნეობაში არსებობს ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენციები და ქვეყნის საერთო აღორძინება გზას უხსნის მეურნეობის არა სოციალისტურ ელემენტებს (ახალი ბურჟუაზიის ზრდა ქალაქსა და სოფელში), სოფლად ორ მოპირდაპირე ელემენტების შედარებით გაძლიერებას — ერთის მხრივ კულაკობის და მეორეს მხრივ სოფლის ღარიბ დაქირავებულ მუშების რიცხვის ზრდას. ამავე დროს იზრდება სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობის ხვედრი წონა, იგი ცდილობს შეინარჩუნოს და კიდეც გააძლიეროს თავისი პოზიციები ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის ტრიალში.

მეორე სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო მრეწველობა, რომელიც მოწოდებულია ამ სიძნელეთა გადასალახავად გლეხის ბაზარის და მეურნეობის სტიქიაზე გეგმიანი ზეგავლენით, განიცდის თანხების ნაკლებობას და ვერ ასწრებს სავსებით შეასრულოს მასზე დაკისრებული ამოცანები.

უმთავრეს ამოცანათ და უმთავრეს სიძნელეთ რჩება სოციალისტურ მშენებლობაში 22 მილიონ დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნების ჩაბმა. საქმით უნდა დაუმტკიცოთ მათ მეურნეობის სოციალისტური ფორმების უპირატესობა და დაუმორჩილოთ სახელმწიფო მეურნეობის გავლენას (სახელმწიფო მრეწველობის პროდუქტების მიწოდება, ელექტროფიკაცია, სახელმწიფოებრივი კრედიტი, ნედლი მასალის დამზადება სახელმწიფო ორგანოების მიერ, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, ტრანსპორტი).

თავს უყრის რა თავის ხელში ყველა კაპიტალურ ფონდების უდიდეს ნაწილს და ეყრდნობა რა მიწის ნაციონალიზაციას, საბჭოთა სახელმწიფოს შეუძლია შეასრულოს ეს ამოცანა მხოლოდ ისეთ პირობებში, როდესაც ადგილი ექნება დიდ სამანქანო ინდუსტრიის სისტემატიურ გაფართოებას, კოოპერატიულ გაერთიანებას, ბაზარზე თავის გეგმიან ზეგავლენის გაძლიერებას და გლეხთა ძირითადი მასის უშუალო ინტერესების მოხერხებულათ შეფარდებას საბჭოთა მშენებლობის საერთო ინტერესებთან.

ამასთანავე საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული გლეხური მეურნეობის ტენდენციები და ის გარემოება, რამდენათ მტკიცეა ეს ტენდენციები.

ისეთი ვარაუდი, რომ გლეხობა უკვე 1 იანვრისათვის ჩამოგვაშორებდა თავის ზედმეტი პურის 70 პროც., რომ ამავე დროს პურის ფასები დაეცემოდა, რომ ექსპორტი გაიზრდებოდა და მრეწველობა გაფართოვდებოდა, სწორედ ყველაფერი ეს დაკავშირებული იყო ამ ტენდენციების ასეთ არა საკმარის გათვალისწინებასთან.

ანგარიში უნდა გაუწიოთ იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლების სრულიად სწორმა პოლიტიკამ, რომელიც მიმართული იყო ეკონომიურ დარგში ადმინისტრატიულ ზეგავლენის უარყოფისაკენ, გლეხობისათვის დაბეგვრის სიმძიმის შემსუბუქებისაკენ და სხვა, ფართო შესაძლებლობა მისცა გლეხობას გაესაღებია თავისი პროდუქცია არა იმ ვადაში და იმ პირობებში, რომელიც უფრო ხელსაყრელი იქნებოდა მთელი სახალხო მეურნეობისათვის. ამასთან უწყობდა ხელს სამრეწველო საქონლის ნაკლებობა, პურის დამამზადებელთათვის ფართო ფინანსიური დახმარება და მათ შორის კონკურენციის გაძლიერება. იმ ცვლილებებმა, რომელიც შეტანილი უნდა იქნას წინასწარ გამომუშავებულ გეგმაში, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაჩრდილოს ფაქტი., რომ შარშანდელთან შედარებით ჩვენ ამ დარგში გვაქვს მნიშვნელოვანი შედეგები.

თუ მივიღებთ მხედველობაში მთელ მოსავალს 4.100 მილიონ ფუთის რაოდენობით, წლის განმავლობაში პურის დამამზადებელ ორგანოებს უნდა დაემზადებიათ 780 მილიონი ფუთი. ამჟამათ კი შესაძლებელია დამზადება მხოლოდ 645 მილიონ ფუთამდე. 21 ნოემბრისათვის დამზადებულია 260 მილიონი ფუთი. 1926 წლ. 1 იანვრამდე განზრახულია 350 მილიონი ფუთის დამზადება, ე. ი. ეს უდრის წინათ ნავარაუდევ დამზადების 44,8 პროც. და შეცვლილ გეგმით გათვალისწინებულ დამზადების 54,2 პროც. 21 ნოემბრისათვის დამზადებულ პურიდან უკვე გაყიდულია 88,2 მილიონ ფუთი და ფაქტიურათ გატანილია საზღვარგარეთ 78,1 მილიონი ფუთი (1923—24 წელს გატანილი იყო სულ 182,2 მილიონი ფუთი).

წელს ადგილი აქვს სოფლის ფენების დაყოფის ერთგვარ ზრდას. ამასთანავე აუცილებელია, რომ გლეხობის უმნიშვნელო ჯგუფის ხელში თავს მოიყრის შედარებით მეტი პური, ვიდრე შარშან და ამისდამიხედვით გაიზრდება ამ ჯგუფის ეკონომიური გავლენა. ამის მიხედვით სოფლის კულაკურ ზედაფენებს, შედარებით შარშანდელ წელთან, უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ უარყოფითი გავლენა მოახდინონ საერთო სახელმწიფო გეგმების შესრულებაზე. ეს ზედაფენები ცდილობენ გამოიყენონ სოფლის საწარმოვო ძალების აღორძინება კაპიტალისტური მიმართულებით.

იმისათვის, რათა წინააღმდეგობა გაეწიოს ამას და გლეხური მეურნეობის განვითარება წავიდეს სოციალიზმის გზით, საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაშია საერთო ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციასთან ერთად კოოპერაცია.

ზედმიწევნით საჭიროა გლეხური მეურნეობის უფრო მეტი მონაწილეობა ქვეყნის საერთო საქონლის ბრუნვაში და მისი საქონლიანობის გადიდება, ე. ი. გადასვლა გლეხურ მეურნეობის სამომხმარებლო ფორმიდან საბაზრო წარმოებაზე.

... (გამოტოვებულია) საფრთხეს უმზადებდა ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ ელემენტებს, რომ ამ პროცესის პარალელურად არ გაზრდილიყო კოოპერაცია და სასოფლო მეურნეობაზე სახელმწიფოს ზეგავლენის მთელი სისტემა.

ყრილობა ერთხელ კიდევ აქცევს პარტიის ყველა წევრების ყურადღებას იმ სრულიად განსაკუთრებულ როლს, რომელსაც ამასთან დაკავშირებით კოოპერაცია თამაშობს სოფლად.

კოოპერაცია წარმოადგენს უმთავრეს საშუალებას დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა ჩასაბმელათ საერთო სოციალისტურ მშენებლობაში. იგი ძალიან აადვილებს და აჩქარებს გლეხური მეურნეობის გადასვლას მეურნეობის უფრო მაღალ საწარმოვო ფორმებზე. იგი უნდა გადაიქცეს იარაღათ საშუალო შეძლების და ღარიბ გლეხთა მეურნეობის ასაღორძინებლათ და მან უნდა გაუადვილოს ამ ფენებს წინააღმდეგობის გაწევა სოფლის კულაკურ ზედაფენებისათვის. ხოლოს, იგი ხელს უწყობს გეგმიანობის გატარებას სასოფლო მეურნეობაში და სისტემატიურათ მის გარდაქმნას ინდუსტრიალიზაციის მიმართულებით თანამედროვე ტეხნიკის მიხედვით.

შეხამება კოოპერაციასა და საწარმოვო ძალთა ინდუსტრიალურ ფორმის განვითარებას შორის საფუძვლად დაედება სოფლად სოციალურ-ეკონომიურ ბრძოლის შინაარს, ამასთანავე თვით კოოპერაცია შეიძლება გახდეს მოწინააღმდეგე ტენდენციების ბრძოლის ასპარეზად.

პროლეტარიატისა და საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში მყოფი მძლავრი ეკონომიური ძალები უზრუნველჰყოფენ საბჭოთა კოოპერაციის გამარჯვებას თანამედროვე სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე და საშუალებას მისცემენ პარტიას სწორი პოლიტიკის გატარებით, გადავიდეს იმ „განათლებულ კოოპერატორთა წყობილებაზე", რომლის შესახებ სწერდა ლენინი.

მაგრამ ამ აუცილებელმა გამარჯვებამ არ უნდა დაჩრდილოს ის ფაქტი, რომ თავის განვითარების დღევანდელ სტადიაში, კოოპერაციას ჯერ კიდევ არ შეუძლია აღმოფხვრას მისი ამოცანებისათვის საწინააღმდეგო გლეხური მეურნეობის კერძო მესაკუთრეობის ტენდენციები, რომლებიც სტიქიურათ იზრდებიან დაქსაქსულობის და თავისუფალ საქონლის ბრუნვის ნიადაგზე.

პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყონ კოოპერაციის საბოლოო გამარჯვებას საწინააღმდეგო ტენდენციებზე; დახმარება გაუწიონ გლეხობის ძირითად მასას და ამით უზრუნველჰყონ სოფლის საწარმოო ძალთა განვითარება ისეთ ფორმებში, რომელიც სავსებით შეეფერება სოციალიზმის განვითარებას. ამავე დროს პარტიამ უნდა იხმაროს ყოველგვარი ღონისძიებანი სოციალისტური ხაზის უზრუნველსაყოფად კოოპერაციაში.

პარტიის პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული საშუალო შეძლების და ღარიბ გლეხთა მასების კავშირისაკენ სოფლის კულაკურ ზედაფენების წინააღმდეგ.

მრეწველობის განვითარება წარმოადგენს სოციალისტურ მშენებლობის უმთავრეს ბაზას და ყველა საწინააღმდეგო ტენდენციების გადალახვის უმთავრეს იარაღს. ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ მრეწველობის განვითარების ამოცანები მით უფრო უკეთ [illegible] იქნება შესრულებული, რამდენადაც მეტი იქნება მისი მატერიალური რეზერვები, რომლის გარეშე ბაზრის მოწესრიგების ამოცანების შესრულება ძალიან ძნელი იქნება.

ჩვენი და მსოფლიო მეურნეობის კავშირი უსათუოდ გვგვიადვილებს ჩვენ მთელი ჩვენი მეურნეობის გადახალისებას ახალ საფუძვლებზე. მაგრამ ამან არ უნდა დაჩრდილოს ის მთავარი ფაქტი, რომ თვით ეს კავშირი ერთგვარად უადვილებს ჩვენდამი მტრულად განწყობილ კაპიტალისტურ ქვეყნებს მოახდინონ თავდასხმა ჩვენს მშენებლობაზე. ჩვენი გეგმების შედგენის და ექსპორტ-იმპორტის განხორციელების დროს ეს უნდა იქნას მიღებული მხედველობაში და უნდა შეიქმნეს ერთგვარი რეზერვი (აქტიური სავაჭრო ბალანსი და სხვ).

4. სასოფლო მეურნეობა

სასოფლო მეურნეობის განვითარების დარგში უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა რაც შეიძლება ჩქარა გავადიდოთ, როგორც სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქცია, ისე ძვირფას კულტურათა მნიშვნელობა, ხოლო მეორეს მხრივ იმაში, რათა შევქმნათ გლეხობის მთავარი მასისათვის პროდუქციის გასაღების ხელსაყრელი პირობები და ვეცადოთ შევამციროთ თვითღირებულება და პროდუქციის ფასები.

მიუხედავად მიმდინარე წლის კარგი მოსავლისა, მოსავლიანობა მაინც ძალიან მცირეა; ასევე დაბალია გლეხური მეურნეობის ტეხნიკური დონე, რასაც შედეგად მოსდევს შრომის ნაყოფიერების სისუსტე, შემოსავლიანობის სიმცირე, სოფლის მოსახლეობის გადიდება მიწის ფონდის უცვლელად დატოვების დროს და გლეხის ბაზრის სყიდვითი უნარიანობის გაძლიერება.

ტეხნიკური კულტურა: (ბამბა, სელი, კანაფი, ჭარხალი, მზესუმზირა), რომელზედაც დამყარებულია ჩვენი მრეწველობა და რომლის განვითარება საჭიროა ამ მრეწველობის შემდეგი ზრდისთვის და მისი განთავისუფლებისათვის უცხოეთის ნედლ მასალაზე დამოკიდებულებისაგან, და აგრეთვე მესაქონლეობა, მეცხვარეობა და კარაქის დამზადება, მიუხედავათ იმისა, რომ ეს დარგები უსათუოთ იზრდებიან და ზოგჯერ სჭარბობენ ომის წინა დროის დონეს, ჯერ კიდევ ძალიან მცირე როლს თამაშობენ საერთო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

ყველაფერი ეს, რითაც აიხსნება სოფლის საწარმოვო ძალთა განვითარების სისუსტე, მოითხოვს პარტიის მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას, ვინაიდან იგი განსაზღვრავს ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი მასის ცხოვრების პირობებს და აფერხებს სოციალისტური მშენებლობის ტემპს, როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

ამ სიძნელეთა გადალახვა მოითხოვს ენერგიულ ზომების მიღებას სასოფლო მეურნეობის ძირითად თანხის აღსადგენად, მისი ტეხნიკური დონეს ასაწევათ, ინდუსტრიალიზაციის განსავითარებლად და აგრეთვე ბაზრებთან მისი კავშირის განსავითარებლად გზების აღმშენებლობის საშუალებით.

სასოფლო მეურნეობის არსებული მდგომარეობა და ამ მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუმჯობესების აუცილებლობა სახელმწიფოდან მოითხოვს დახმარებას და ყოველმხრივ ხელის შეწყობას კოოპერაციისათვის და აგრეთვე უშუალო ფინანსიურ ღონისძიებებს, როგორც სესხის, ისე საბიუჯეტო ასიგნობების მხრივ.

გლეხობისათვის სესხის გაიფებაზე და ამ სესხის ფორმების გლეხის [illegible] მოთხოვნილებებთან შეთანხმებაზე უნდა იქნეს მიქცეული განსაკუთრებული ყურადღება.

ყრილობა იწონებს სპეციალურ ასიგნობებს ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქისათვის (25 მილიონი მანეთი) და მოუსავლიანობისაგან დაზარალებულ ოლქებისათვის (77 მილიონი მანეთი) და აგრეთვე მებამბეობის რაიონების ასაღორძინებლად (60 მილიონამდე მან.).

ამგვარათ როგორც საკრედიტო საშუალებანი, ისე უშუალო ასიგნობები სასოფლო-მეურნეობის ასაღორძინებლად მიმართული უნდა იქნეს იქითკენ, რომ გამოვიყენოთ საშუალო და ღარიბ გლეხობის ფართე მასების მეურნეობის განსამტკიცებლად და გასამაგრებლად და სოფლის „კულაკების" მიერ მათი ექსპლოატაციისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

სასოფლო-მეურნეობის ნაყოფიერების ზრდა აუცილებლად მიგვიყვანს იქამდის, რომ ამ ნაყოფის განაღდება უცხოეთის ბაზარზე შეიქნება უმნიშვნელოვანეს პირობათ ფასების სათანადო სიმაღლეზე შესანარჩუნებლად, რაიც აუცილებელია მეურნეობის შემდეგი განვითარებისათვის.

მხოლოდ სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის ფართე ექსპორტის დროს შეგვიძლია უზრუნველვყოთ: პურის და სხვა პროდუქციების ფასი, საგლეხო მეურნეობისათვის ხელსაყრელი, და აგრეთვე სამრეწველო ნედლი მასალის და მოწყობილობის იმპორტი რომლის გარეშე შეუძლებელია მრეწველობის სათანადოთ გაფართოება და ამასთანავე გლეხობის უზრუნველყოფა სამრეწველო საქონლით და მისი ღირებულების შემდეგი შემცირება.

სასოფლო-სამეურნეო მეურნეობის ზედმეტი პროდუქციის თავის დროზე გატანის აუცილებლობა და ამ საკითხში გლეხობისა და მთელი სახალხო მეურნეობის ინტერესების სრული ერთიანობა ფართედ უნდა აუხსნათ და გავაგებინოთ ხალხს.

ფასების პოლიტიკა მიმართული უნდა იქნეს იქითკენ, რომ გლეხობამ თავის მეურნეობის პროდუქტების გასაღებაში მიიღოს ისეთი ფასი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მას ასწიოს თავისი მეურნეობა.

ასეთი ფასების შემოღება უნდა მოხდეს წმინდა ეკონომიურ ღონისძიებათა საშუალებით. თუ ერთის მხრივ ეს ზომები წინააღმდეგობას უნდა უწევდენ ფასების დაცემას ზემოაღნიშნულ დონეს ქვევით, მეორეს მხრივ—აუცილებლათ საჭიროა იმავე ეკონომიური ზომებით წინააღმდეგობა გაუწიოთ ფასების არაჩვეულებრივ ზრდას.

(დასასრული ხვალ)

პასუხად „ბრძოლას"*)

ნოე რამიშვილს: Tu l'as voulu, Georges Dandin!

ჯის რაც, „ბრძოლის" „მეოთხე ნომერში დაბეჭდილი ჩემ შესახებ, იმისი პასუხისმგებლები არ არიან, რასაკვირველია, მარტო „გაკვრის" ანონიმი ან ვილაცა ლაწირაკი ლორდელი (რომელსაც აგვისტოს უკანა რიცხვით ოქტომბერში დააწერიეს წერილი და პარტიაც „დაატოვებინეს").

არც „ბრძოლი"-ს ოფიციალური რედაქტორი დათიკო შარაშიძე არის ნამდვილი პასუხისმგებელი, ისე როგორც არ იყო პასუხისმგებელი, როცა ვოიტინსკის წყვილთან ერთად თბილისში რუსულ „ბრძოლას" სცემდა...

არა, ნამდვილი პასუხისმგებელნი არიან თვით ხაზეინები—რამიშვილი, ჟორდანია, ჩხენკელი, წერეთელი.

ამიტომ მოვახსენებ მათ საპასუხოდ, რაც მოსახსენებელია, გაკვრითაც და გამოკვრითაც.

„ბრძოლა" გაბრაზებულია, რატომ თხოვენ „ვეშაპელისტები" თავიანთვის პარიზში კრებისა და პიროვნების თავისუფლებას, როცა საქართველოში ძალმომრეობა მეფობსო!

რაც შეეხება პარიზს, ამაზე უკვე გითხრათ L'Humanité-მ (20, VIII), რომ „საფრანგეთის ტერიტორიაზე ქართულ პარტიებს არ შეუძლიათ აწარმოონ ბრძოლა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ", ესე იგი აქაური ბრძოლა უნდა იყოს მხოლოდ იდეოლოგიური.

რაც შეეხება საქართველოს, იქ ბრძოლა სწორედ ხელისუფლებისათვის სწარმოებს და თუ საბჭოთა დიქტატურა რევოლიუციური მეთოდებით ებრძვის შეთქმულებას და აჯანყებას, ეს ჩვეულებრივი, საყოველთაო რისკია ამ ხელობისა.

თუ „ბრძოლა"-ს რედაქცია, ანუ რამიშვილის ბანდა, მართლაც ბრძოლის გუნებაზე არის, დაე წაბრძანდეს იქ, საქართველოში, და დაიკავოს ის ადგილი, რომელიც ჭკუიანად დროზე დაცალა კოწია სულაკველიძემ.

„ძალმომრეობას" ჩივით?—როდის ხართ ასეთი გულჩვილნი და დაგავიწყდათ მარქსის ნაამბობი, რომ ისტორიის ბებია ძალა არის? როდის გახდით ტოლსტოის მიმდევარნი?

და თვით თქვენს პრაქტიკაში როდისმე გავიწყდებოდათ განა ეს? განა დამოუკიდებელი (მხოლოდ რუსეთისაგან) მენშევიკური საქართველო თხისა და მგლის ერთად საძოვარი სამოთხე იყო?

განა „რამიშვილის არჩევნები" თავისუფალი რომ იყო, იმიტომ გადიოდა მეტი მენშევიკები დამფუძნებელ კრებაში, ვიდრე დღეს ბოლშევიკებია საბჭოებში? ახალციხეში არჩევნების დროს გ. ფაღავა მაფრთხილებდა,—სოფლებში ნუ დაიარები, თორემ გვარდიელების მოქმედებაზე პასუხს ვერ ვაგებთო!... და თვით ნოე რამიშვილი არ იყო, რომ ამ არჩევნების დროს გაზეთ „კლდეში" ჩემ მოადგილეთ დარჩენილ რეზო გაბაშვილს თავი „ვირის აბანოში", რომ ამოაყოფია და მხოლოდ მაშინ გამოუშვა, როცა გამოირკვა, რომ ჩვენს ფრაქციას დეპუტატი ეყოლებოდა.

ანდა იქნებ პიროვნების თავისუფლება იყო, თბილისის მენშევიკურმა „მერმა" ფედერალისტ შ. ნუცუბიძეს კინაღამ თვალი რომ ამოთხარა?.. ან რომელი დემოკრატიის წესით იყო, რომ თვით მთავრობის ფრაქციის დეპუტატს, კირილე ნინიძეს რამიშვილის ლასტურით რომ კიდვა-ფაჩულიას აგენტები შეუვარდენ ღამე ფანჯარაში, ქუჩიდან მიმდგარი კიბით და რომ ურტყეს?

ანდა იქნებ თქვენ „საკუთრებად" გადაქცეულ ევროპაში მონახეთ ჭეშმარიტი თავისუფლება, ისპანია, იტალია პოლონეთი, ბულგარია, რუმინეთი..., ან კოლონიებში? თვით კლასიკურ დიდი დემოკრატიის სახელმწიფოებშიაც (საფრანგეთ,-ინგლის-ამერიკაში) დღეს ყველგან ლიბერალური დემოკრატიზმი და პარლამენტარიზმი კრიზისს განიცდის და ადგილს უთმობს რეაქციულ დიქტატურას... სოციალური და ეროვნულ პროგრესისათვის კი, ისტორიის გაკვეთილების მიხედვით, ყოველთვის რევოლიუციური დიქტატურა სჯობდა...

და თუ ჩვენ სასამართლოს და „ადამიანურ ლიგას" მივმართეთ, არა იმიტომ, რომ დემოკრატიული გარანტიების „ლურჯ ჩიტს" ვეძებთ არამედ იმიტომ, რომ შავი და თეთრი საჯაროთ გამოირკვეს!

— ქართველ მამულიშვილებს ახრჩობენო!—გვაყვედრის „ბრძოლა". მერე ჩვენი ბრალია ეს? ტერორი ხომ აჯანყების შედეგი იყო, და აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ ხომ ტერორიც შეჩერდა. რამიშვილის ერთად-ერთი თავის სარჩენი ხელობა კი სწორედ ის არის, რომ ახალი აჯანყებანი მოაწყოს საქართველოში, მიუხედავათ იმისა, რომ იცის, ახალ აჯანყებას ახალი, გეომეტრიულ პროგრესიით გაზრდილი ტერორი მოჰყვება! ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ევროპაში სთქვან,—ქართველი ხალხი კვლავ იბრძვის, რათა მეხუთე წელიწადი მისგან ქურდულად გაპარული ნ. ჟორდანიას „მთავრობა" კვლავ გაამინისტროს და რამიშვილს კვლავ შეეძლოს მეტეხის ციხეში ბინების განაწილება და მტკვარში ღამე პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ხრჩობა!

იქნებ თქვენ გგონიათ, რომ რამიშვილს ქართული სისხლის დაღვრაც არ ახსოვს—განა ქართველი გლეხები არ იყო, რომ იხვრიტებოდენ დუშეთ სამეგრელო-გურიაში ბოლშევიკური ჯანყის დროს?..

„ბრძოლი"-ს ძალიან აბრაზებს,—რომ ჩვენ კომუნისტები არ გავხდით.—„მაშ კომუნისტების ნადი ხართ, მათი დაქირავებულნი; იდეური მოტივები და კომუნისტური სიზმრები კი არ გალაპარაკებთ, არამედ ის, რომ პატიოსან შრომას ბოლშევიკების ხარჯზე ცხოვრება ამჯობინეთო!"

ასე, მაშ ხმასაც მოვესწარით!.. „ბრძოლა" ასეთი დემაგოგიიდან ივლისიდან დაწყებული ჯენტლმენურად თავს იკავებდა; თვით ნოე რამიშვილი, როგორც გადმომცეს, საქართველოში გაგზავნილ ერთ-ერთ სამოციქულო ცირკულიარში ჩემ პოლიტიკას მხოლოდ ისტერიულ ბრალს სდებდა, სხვათა შორის, ეს სიტყვა (ისტერიკა) „გამკვრელ" ანონიმსაც აქვს ნახმარი, მაგრამ ბოლოს, როგორც სჩანს, მენშევიკური სულის შეკავება დიდის ხნით ძნელია და მართლაც, რომ ისტერიული ლანძღვა დაგვეწყეს.—ალბად აქამდის რამიშვილს „ახალი საქართველო" ზურბობა ეგონა და ეხლა კი მის შემდეგ, რაც მისმა თვალებმა უკვე ამბები ნახეს, სწორწონობა დაკარგა.

ეხლა მოგახსენებთ პასუხსაც!

1. ამიხსენით, რატომ შემეძლო ვყოფილიყავი სამი წლის განმავლობაში აქტიური თანამშრომელი მენშევიკური ლეგაციისა და მთავრობის ისე, რომ მენშევიკი არ გავმხდარიყავი, და რატომ არ შემიძლია დღეს გამოვცე საბჭოთა საქართველოს ორიენტაციის გაზეთი და დავრჩე მაინც არა კომუნისტი? რაშია საქმე?

ეხლა „გაყიდვაზე"—მირაბოს თქმის არ იყოს, თუ მე „გაყიდული" ვარ, ფული ვილამ ჩაიბარა, არ ვიცი—მე კი არ ამღია ეს ჩემი ფასი!.. რაც შეეხება „პატიოსანი შრომის" საკითხს, მოგაგონებთ, რომ 1924 წ. მაისიდან ოქტომბრამდის თავს მხოლოდ ფრანგულ ქარხანაში მუშაობით ვირჩენდი, და ძველი ინტერპარტიული კოლეგიის დაშლის შემდეგ, ლეგაციის კასიდან არც ერთი კაპეიკი არ მითხოვია.

იენისში უკვე ალ. სვანიძემ წინადადება მომცა დამეტოვებია ემიგრანტული ლაგერი, მაგრამ მე ვუთხარი,—სანამ საფრანგეთს საბჭოები არ უცვნია, ხმას არ ამოვიღებ, არ მინდა, რომ მე დამაბრალონ ჩხენკელ-ჟორდანიას „მუშაობის" ჩაშლა მეთქი. თუ სხვის ხარჯზე ცხოვრება მდომოდა, ასე გაუშვებდი ალ. სვანიძეს ბერლინში?

და თუ გამოვედი, გამოვედი მხოლოდ მაშინ, როცა აჯანყების მეორე დღესვე აშკარა შეიქნა ჩემთვის აუცილებლობა ქართული პოლიტიკის რევიზიისა და ახალი სიტყვისა და საქმის.

რომ სხვის ხარჯზე ცხოვრება ჩემი იდეალი იყოს, მაშინ არც იმ შემთხვევას გაუშვებდი ხელიდან, როცა აჯანყების დროს დაღვრილი სისხლის ფასად ნაშოვნი ფულის დარიგება დაიწყეს ლეგაციაში „პოლიტიკურ მოღვაწეთა" შორის. მოგმართეთ?

და განა თვით თქვენთვის აჯანყების ერთად ერთი რეალური შედეგი იმ ფორმულით არ გამოიხატებოდა, ივან პავლიჩ გობეჩიამ რომ წარმოსთქვა: „თუ ამ აჯანყების დროს ფული არ გიშოვნით, სხუმის როდის ვიშოვითო?"

და განა, ამ ფორმულის მიხედვით არ დატრიალდა მაშინ რამიშვილი სამხედრო და სამოქალაქო „სპეცების" დახმარებით ფულის საშოვნელად—რუსის მონარქისტებში, ამერიკელ სპეკულიანტ დუმბაძესთან და პარიზში ლტოლვილ თბილისის, სოლოლაკელ სომხებშიც კი? თვით ნოე ჟორდანია ამ დროს საფრანგეთში მყოფ ქართველ იურისტ[illegible]ს კონსულტაციას თხოვდა,—პარიტეტულ კომიტეტს საქართველოში უჩემოდ კანონიერი მთავრობის შედგენა ხომ არ შეუძლიაო?!!

დღეს კი, თვით ნ. ჟორდანიაც ხიკავს ფულს შვეიცარიაში ქართული კომიტეტის 5 ფრანკიანი საწევრო გადასახადით... წინად, რასაკვირველია, ნ. ჟორდანია ასეთ მცირე რამეს არ იკადრებდა... აი მაგალითად, როცა თბილისში 1917 წ. ქართული ეროვნული საბჭო სდგებოდა, ნოე ჟორდანიამ ბრძანა: პრაქტიკულ მუშაობას ვერ დავიწყებ, სანამ საკმარისი თანხა არ გვექნებაო. მაშინ დავით ვაჩნაძემ, ვითარცა მინინ და პოჟარსკის, მოუტანა 15 ათასი ოქროს მანეთის ღირებული ნიკოლოზის ქაღალდის ფული და გადასცა.— მიირთვით, ბატონო ნოე, ოღონდ მუშაობა დაიწყეთო! ეს თანხა იყო მაშინ, საქართველოში საიდუმლოდ არსებული გერმანული ორგანიზაციის ფული და ნ. ჟორდანიამ იცოდა ეს... (სხვათა შორის როცა დ. ვაჩნაძე 1923 წ. ჩამოვიდა სტამბოლში, მე მომწერა—ნ. ჟორდანიას გადაეცი ჩემი თხოვნა, ამ ფულის მესამედი მაინც დააბრუნოს მთავრობის თანხიდანო. რასაკვირველია გადახდით ვერ გადაახდევინე, მხოლოდ (ნატურით) საქართველოს სამხედრო მინისტრის პორტფელი კი შესთავაზეს მას აჯანყების დროს*)...

რას იტყვით, ამ პატარა ისტორიული ამბის მიხედვით, ნოე ჟორდანია „რეალისტია", თუ „იდეალისტი"?

რაც ანონიმურმა „გამკვრელმა" დაგვაკლო (პირდაპირ გინება), ის ალ. ლორდელის ავლაბრულ წერილში ჩაუწერია „ბრძოლის" რედაქციას. მაგრამ ამ ავლაბრულში ჩაწერილია ერთი პოლიტიკური ბრალდებაც და გვინდა ისიც ნაღდათ გადავიხადოთ.

— ვეშაპელი „მონარქისტ—ფაშისტიაო", ნათქვამია ამ წერილში!—კეთილი და პატიოსანი, მაგრამ საკითხავია, როდის შემდეგ გავხდი მე ასეთი კაცი?

როცა 1918 წ. ტრაპიზონის კონფერენციის ჩაშლის შემდეგ, ჩხენკელმა ნ. ჟორდანიას მანდატი ჩამაბარა და მთხოვა, დავრჩენილიყავი მარტოდ ენვერ ფაშასთან მოსალაპარაკებლად. მაშინ ხომ არ ვიყავი მონარქისტი?

შემდეგ, როცა 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს, რომ პრეზიდიუმში ჩემთან ერთად ნ. ჟორდანია იჯდა,—არც მაშინ ვიყავი ხომ მონარქისტი?

შემდეგ, როცა 1921 წ. გასაბჭოებისას სტამბოლში, რომ ჩამოვედი (ცალკე, მენშევიკების შემდეგ) და ჩხენკელმა რომ ტელეგრამა მომწერა, პარიზში ჩამობრძანდითო,—არც მაშინ ვიყავი ხომ კიდევ მონარქისტი. არც მაშინ, როცა 1922 წ. ნ. რამიშვილმა და ჩხეიძემ ჩემს ნაც.-დემ. ჯგუფთან საკოალიციო ხელშეკრულება დასდეს (სადაც სხვათა შორის, კაპიტულიაცია მოვახდინეთ სოციალ-დემოკრატებს, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიური პლატფორმის მხრივ).

ანდა მაშინ ხომ არ ვიყავი მონარქისტი, როცა 1924 წლამდის პარიზში, ჟორდანიის „მთავრობის" და ჩხეიძის დამფუძნებელი კრების „კოლეგიის" სრულუფლებიანი წევრი გახლდით და თქვენი მანდატით გენუის კონფერენციაზე—ინტერპარტიულ დელეგაციაში ვიყავი?

1924 წ. დასაწყისშიც არ ვყოფილვარ კიდეც გამხდარი „მონარქისტ—ფაშისტი", ნოე რამიშვილმა რომ მთხოვა ოსმალეთში, საქართველოს საზღვარზე ერთად წასვლა: იქ ინტერპარტიული კონფერენცია მოხდება აჯანყების საკითხზე სათათბიროდ და „მთავრობას აუცილებლად მიაჩნია თქვენი ჩემთან ერთად ყოფნაო". მე უარი ვთქვი ამ ერთად წასვლაზე, რადგან პოლიტიკურადაც და პერსონალურადაც ნოე რამიშვილს როგორ ვენდობოდი ასეთ ექსპედიციებში! ეს ამბავი ხომ 1924 წ. თებერვალში იყო—მაშ როდისღა გავხდი, ეს ოხერი—„მონარქისტ-ფაშისტი" პარიზელ მენშევიკებისათვის?—დაბოლოს ისე გამოდის, რომ მე ასეთი რამ გავმხდარვარ, როცა იმავე 1924 წლის შემოდგომაზე საბჭოთა ხელისუფლება ვიცანი... ვაი თქვენს როჯს, ბატონებო!..

არა, არც მონარქისტი და არც ფაშისტი, მე არასოდეს არ ვყოფილვარ. მართალია, მუდამ იდეოლოგიურ ძიებაში ვიყავი, დაწყებული გიმნაზიური მენშევიზმით, მერმე სტუდენტური ფედერალიზმით და გათავებული უნივერსიტეტის შემდეგ ნაციონალიზმით...

ისიც მართალია, რომ ევროპაში, ემიგრაციაში ჩემმა აზროვნებამ დიდი ევოლიუცია განიცადა, მაგრამ ეს იყო და არის ევოლიუცია მარცხნივ, წინ, და არც ერთ უკან დატოვებულ ეტაპისკენ მობრუნებას ჩემი დიალექტიკით არ ვაპირობ!

პოლიტიკური ხაზი კი ჩემთვის ყოველთვის იმ ფორმულით იყო გაყვანილი, რომელიც 1918 წ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა დღეს ვთქვი.—„ჩემთვის, როგორც ნაციონალისტისათვის, მთავარი საქმე ქართველი ერის სახელმწიფოებრივი მთლიანობა არის; რომელი ფორმაც უზრუნველყოფს ამას, ის არ არის კარგი, გინდ სოციალ-დემ. რესპუბლიკა იყოს ეს, გინდ მისი ანტიპოდი" მეთქი. (დაბეჭდილია ჩემ წიგნში: „სიტყვები პარლამენტში" გვ. 4) თუ შარშან საბჭოთა საქართველოს პლატფორმაზე დავდექი, ამ ექვსი წლის წინად ნათქვამი ფორმულით ვხელმძღვანელობდი... ერთი თქვენც იკითხეთ ის ფორმულები, რომელსაც სჩედდით ექვსიოდე წლის წინ!

და თუ მონარქისტების ამბები ძალიან გაინტერესებთ, აკაკი ჩხენკელს მოკითხეთ, თუ როგორ იყო. რომ, ომის დროს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, გერმანიაში, რომ წავიდა და იქ მიხაკო წერეთელთან ერთად ვილჰელმის პრინცებს რომ „სპეცის" თვალით შინჯავდა, აბა რომელი უფრო გამოგვადგებაო საქართველოსთვისო?

—:—

„ბრძოლის" ანგარიშების მოსალევად, საჭიროა მესამე აგვისტოს ნომერის „გაკვრაც" გავიხსენოთ.

აი რას ამბობდა მაშინ „ბრძოლა": —„ახალი საქართველოა მხოლოდ საქართველო 26 მაისის, რომელსაც რენეგატ-ნაცარქექიები სტალინ-ორჯონიკიძის საქართველოზე სცვლიანო... ვის აბრიყვებენ? ხალხს, ისტორიას? ტყუილი იმედია. მათი გზის გამრუდება შეუძლებელია. ეს აღემატება ადამიანის ძალღონეს... გ. ვეშაპელი იდგა ახალი საქართველოს გზაზე, ვერ შემაგრდა და გადავარდა... ბრძოლის პოზიცია მან გადასცვალა ხვეწნის პოზიციაზე... ჩოქიჩოქი ვეშაპელი გელეიშვილებო"-ო...

კარგი და პატიოსანი!.. მაშ, ეხლა ხვეწნისა და ჩოქის პოზიციას გვაყვედრით?.. მერმე რა, თუ ეს დასაყვედრია,—მხოლოდ ფსიქოლოგიურად, თორემ პოლიტიკურად განა ვინმეს შარს მოუდებ, კედლს, რომ მიადგება, უკან დაიხიოს?... ყველას ხომ მართლაც „აზროვნების ცეცხლის გამძლები" სარამიშვილო აგურით არა აქვს ნაშენები თა ი?..

— დავიჩოქეთ?—ესეც ხომ ფსიქოლოგიურადაა მარტო საწყენი, თორემ პოლიტიკურად რაა დასაყვედრი, რომ იმ ოქტომბერის წინაშე დავიჩოქოთ. რომელიც მერვე წელია რაც ძლევამოსილად სვლას განაგრძობს!. თქვენ ამ რევოლიუციის ეტლის ბორბლებში მოდება და მიწაზე მუდამ მის უკან თრევა გირჩევნიათ თანამგზავრობას?—ესეც არა გემოვნების, არამედ ჭკუის საკითხია, ბატონო „მებრძოლნო!"..

არა, ბატონებო, თქვენ ახალი და ძველი საქართველოს საკითხი კი არა, ახალი და ძველი მთავრობის საკითხი გაწუხებთ!

თქვენ არ გინდათ შეურიგდეთ იმ ფაქტს, რომ ზედმეტნი გახდით, როგორც ლიდერები საქართველოს ქვეშევრდომებისათვის და თქვენი საკუთარი პარტიის წევრებისთვისაც.

და ჩემზე განსაკუთრებით კი იმიტომ ხართ ასე გაბრაზებული, რომ დაწყებული საქართველოს პირველი პარლამენტიდან, ჩემმა ოპოზიციამ რამოდენიმეჯერ ჩაშალა ჟორდანია-რამიშვილის ჰეგემონიისათვის ხელოვნურად მოგონილი „კოალიციები".

ასე იყო 1918 წ. თბილისში რამიშვილის კოალიციური მთავრობის შედგენის დროს, ასე იყო 1921 წ. როცა ჟორდანია საზღაო კოალიციურ სამინისტროს აღგენდა, და ასე იყო შარშანაც, როცა ჟორდანია-რამიშვილი-ჩხენკელ-ჩხეიძემ მოინდომეს, თბილისში პოლიტიკურად მომაკვდავი პარიტეტული კოალიციის აღდგენა.

სრული იმედი გვაქვს, რომ ეს უკანასკნელად მიხდება ასეთი ქირურგიული ოპერაციის მოხდენა, ვინაიდან ამ ხალხის პერსპექტივა აწი—ქართული რევოლიუციის არქივი არის.

რაც შეეხება პერსონალურათ ნოე რამიშვილს, რომელიც ჩემ მიერ „ფრონტის" გარღვევისათვის, ტერორით „მონელებას" მემუქრებოდა თურმე,—მოვაგონებ მას, რომ ქართული ანდაზა ასე ამბობს: „ვეშაპი ისეთს არაფერს გადაყლაპავს, რომ არ მონელოსო!"...

გ. ვეშაპელი.

„ახალი საქართველო" № 14.

---

*) ამ ბრძოლის დასახასიათებლად, რომელიც სწარმოებს დღეს ქართულ ემიგრაციაში, მოგვყავს მოქ. გ. ვეშაპელის წერილი. გარდა ამისა, ის ფაქტიური მასალა, რომელსაც ეს წერილი შეიცავს, ინტერესს არ არის მოკლებული ჩვენი მკითხველებისათვის.

რედ.

*) დ. ვაჩნაძის წერილის ამ ნაწილის კლიშე, თუ საჭირო იქნება, დაიბეჭდება; ყოველ შემთხვევაში, რამიშვილის აგენტები დამზვიდებულნი იყვნენ—ყველა ასეთი დოკუმენტები ჩემი არხივიდან საიმედო ადგილს ინახება და ბინის გაქურდვით, როგორც ეს უყვეს ს. ქ—ძის არხივს, ვერაფერს იშოვნიან!

ინგლისელ კომუნისტების „გასამართლების" შემდეგ

პრესის აზრი

ლონდონი, 26 ნოემბ. გაზეთები გაცხოველებული იხილავენ კომუნისტების საქმეზე გამოტანილ განაჩენს.

რეაქციონური „მორინგ პოსტი" ულოცავს პოლიციას კომუნისტების არალეგალურ პარტიად ცნობას.

კონსერვატიული „დეილ მეილი" განაჩენს „გამჯანსაღებელს" უწოდებს, გაზეთის აზრით, განაჩენი ბრალდებულების მიმდევართ დაანახვებთ, რომ საზოგადოებას შეუძლია თავდაცვა და ის ძირიანად აღმოფხვრის ყოველივე ცდას „განადგურებულ იქნეს თავისუფლება ინგლისელ ხალხისა საბჭოთა ფულების საშუალებით".

ლოიდ ჯორჯის ორგანო „დეილი ექსპრესი" აცხადებს, რომ პოლიტიკური რწმენის დევნა და შევიწროება ეწინააღმდეგება ინგლისის ტრადიციებს, მაგრამ კომუნისტების საქმიანობამ არმიის და ფლოტის დაშლის საქმეში ამოსწურა კანონის მოთმინება.

ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენი" მიუთითებს საშიშ კონტრასტზე კომუნისტების მიმართ სასამართლოს სიმკაცრესა და არაპირდაპირ დახმარებას შორის, რომელსაც უწევს შინაგან საქმეთა მინისტრი „ფაშისტურ ხულიგნებს".

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი" ფიქრობს, რომ იარაღი, რომლითაც მთავრობა სარგებლობდა კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, დაბლოს, მიმართული იქნება მუშათა პარტიისა და პროფკავშირების ბელადების წინააღმდეგ თუ „ბალდუინის ხაზეინებს" (კაპიტალისტებს) სათანადო წინააღმდეგობას არ გაუწევს პროლეტარიატი. გაზეთი ამბობს, რომ მუშათა მოძრაობა პროტესტით შეხვდება ასეთ განაჩენს.

კომინტერნის დეპეშა

მოსკოვი, 26 ნოემბ. კომინტერნის აღმასკომმა დეპეშა გაუგზავნა ინგლისის კომპარტიის ცეკას, რომელშიაც აღშფოთებას გამოსთქვამს ინგლისელ კომუნისტების საქმეზე გამოტანილ განაჩენის გამო.

„ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, —ნათქვამია დეპეშაში, —რომ ინგლისელი კომუნისტები, მიუხედავად ყოველგვარი შევიწროებისა, წინანდებურად განაგრძობენ თავისი მოვალეობის ასრულებას მუშათა კლასის წინაშე.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ცენტრ. პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის გადადება

მოსკოვი, 27 ნოემბერი. ცენტრ პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის დღის წესრიგში და მთელ საკითხების განსაკუთრებულ მნიშვნელობის გამო და დელეგატების არა საკმაო რიცხვის გამოცხადების გამო, დადგენილია პლენუმი გადაიდოს 1926 წლის 25 იანვრისთვის.

პურის დამზადება

მოსკოვი, 27 ნოემბ. შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით კამპანიის დაწყებიდან 20 ნოემბრამდე დამზადებულია 259 მილ. ფუთი პური.

1905 წელი ეკრანზე

ლენინგრადი, 27 ნოემბ. „სევზაპკინომ" ლენინგრადში გადაიღო დიდი კინო-სურათი „1905 წლის" ფილმისათვის.

26 ნოემბერს, დილის 8 საათიდან —ნაშუადღევის 3 საათამდის ლენინის მხარე სავსებით მოაგონებდა პეტერბურგის მხარეს 1905 წელში. ტრამვაის სანაცვლოთ დადიოდა „კონკა". მილიციელების მაგიერ სადარაჯოებზე იდგენ ძველი პოლიციელები. ქუჩები გარშემორტყმული იყო ფინეთისა და სემიონოვის პოლკის ფორმებში დამოწყობილ ჯარისკაცების მიერ.

გადაღებაში მონაწილეობას იღებდა 500 მსახიობი და 2.000 სტატისტი—უმაღ. სახ. სასწავლებლების მსმენელები.

სურათის გადაღება ისეთ დიდ რაიონში ხდებოდა, რომ გადასაღებ ნიშნებს აძლევდენ ზარბაზნის სროლით.

ფინანს. დახმარება საბინაო მშენებლობას

მოსკოვი, 27 ნოემბ. საბჭოთა რუსეთის სახ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა გამოიმუშა გეგმა კომ. საბინაო მშენებლობის ფინანსიური დახმარების 1925—26 წლისთვის—107 მილ. მანეთის რაოდენობით.

მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრება

მოსკოვი, 27 ნოემბ. გუშინ რაბინოვიჩ—ილინ ჟენევსკისა და გოტგილფ—ლევენფიშის პარტიები უშედეგოთ დამთავრდენ. იეტსმა მოუგო ვერლინსკის. რუბინშტეინი დანებდა ბოგატირჩუკს. ბოგოლიუბოვმა დაამარცხა ტარტაკოვერი, რომელსაც აქნობამდის ჯერ არ წაეგო არც ერთი პარტია. ლასკერმა მოუგო დუზ-ხოტიმირსკის.

მოსკოვი, 27 ნოემბ. 26 ნოემბერს რომანოვსკიმ მოუგო ტორრეს, კაპაბლანკამ—მარშალს, გრიუნფელდმა—რეტის, შპილმანმა—ზემიშს.

ჩერვონეცის იუბილე

მოსკოვი, 27 ნოემბ. 26 ნოემბერს შესრულდა სამი წელიწადი ჩერვონეცის გამოშვების დღიდან.

ქართული ემიგრაციის ქრონიკა

ჩვენმა რედაქციამ მიიღო პარიზიდან „ახალი საქართველო"-ს მე-15 №, სადაც მოთავსებულია, სხვათა შორის შემდეგი ცნობები

იფლანგება გადაცემული ქონება

„რამიშვილის „მურიებისათვის" საჭირო „ლუკმა პური" საქართველოდან გამოტაცებული სახელმწიფო და კერძო ქონების ნაშთებია. ვინაიდან კანდელაკის სკივრი უკვე ფსკერზეა მიმდგარი, ჯერი მარსელის ფრანგულ სახელმწიფო ბანკში და ლომბარდში შენახულ საეკლესიო და სამუზეუმო ნივთებზეა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის პირნი, რომელთა რეესტრითაც ჩაიბარა ბანკმა ეს ქონება, ზომებს მიიღებენ, რათა სამუზეუმო და საეკლესიო ნივთები გამოცხადებულ არ იქნას ჟორდანია—რამიშვილ—ჩხენკელის მიერ „ისტორიულ ღირებულებას" მოკლებულ ნივთებათ და არ იქნას გადადნობილი ამ საქმის „სპეცის" იოსებ ელიგულაშვილის მიერ. განსაკუთრებით ველით ასეთ ყურადღებას ბ. ექვთიმე თაყაიშვილისაგან, რომელმაც დამფუძნებელი კრებისგან მიიღო ამ ქონების მეთვალყურეობის დავალება".

⁂

პარიზის კოლონია

პარიზის საბჭოთა ქართულ კოლონიის ახალ წევრებად ჩაირიცხენ: პ. მდივანი, ხუხუნი (ყოფ. მდივანი ძველი ქართული საზოგადოებისა). სოლ. წერეთელი, ბარამიძე.

⁂

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ საშუალება მომცეთ, განვაცხადო, რომ მე ვიზიარებ თქვენი გაზეთის № 1 გამოქვეყნებულ პარიზელ ქართველ სტუდენტთა ჯგუფის დეკლარაციას.

სტუდენტი-ქალი ვალენტინა მაზაძე.
5 ნოემბ. 1925 წ. ქ. პარიზი

პრემიერ—„სკამო და რიკო"!..

(იგავი „გველი და გლეხის" ყაიდაზე)

დუმერის შემდეგ ერიო.

პარიზი, 25 ნოემბ. პარტიებთან მოლაპარაკების შემდეგ. დუმერმა უარი სთქვა კაბინეტის შედგენაზე. პრეზიდენტმა დუმერგმა წინადადება მისცა ერიოს შეადგინოს კაბინეტი. ერიომ თანხმობა განაცხადა.

(დეპეშებიდან)

ერიო შეხვდა დუმერგთან,
უთხრა: „ნუ მიცქერ მტრულადო!
ან ჩემი შიში ნუღარ გაქვს,
ვიცხოვროთ მეგობრულადო,
რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ,
რაც ვარ, ვარ ფერნაკრულადო:
ამ ნოემბერში მე ტყავი
გამოვიცვალე სრულადო!
მიბოძე ხელი თანხმობით,
მომეც შენ გვერდით ადგილი,
რაც ჩვენ გვაშორებდა, დღეიდან
ნუ გვაშორებს იგი მანძილი,
რაც რომ სხვებისათვის ძნელია,
ჩემთვის ის არის ადვილი:
მთავრობას ისე შეგიდგენ,
გინდა შეჭამოს სადილი!..
სადილის ჭამა კი რაა?
ბევრი ვერ მჯობნის ჭამაში!
კომიკურ—დარდიმანდობას
ნუ ჩამომართმევ დრამაში:
მთელი ეს პარლამენტობა
მე მიჩანს, როგორც თამაში!
შეგიშნობ პრემიერობას,
ეჭვი ნუ შეგდის ამაში…
დუმერგმა უთხრა: „ხოშგელდი!
მობრძანდი, ჩემო ერიო!
მე შენის ხელახლა ხილვით
ვარ დიდათ ბედნიერიო;
ჰა, შენ კვერთხი და განაგე,
დიარიყორს გიგავს წვერიო,
თუმც შენში მე ვერ ვიხილე
ცვლილება ვერაფერიო!..
მაინც, სხვა რადგან არვინ მყავს,
შენ გერგო სავარძელიო,
ხაზინას ფული მიკლია,
ხარჯებს ვერ გაუძლიო,
ფულს თუ მიშოვნი, სხვა რაღა?
ენა სულ გქონდა გრძელიო,
ტყავი თუმც გამოგიცვლია,
ჭკუა გაქვს ისევ თხელიო!.."
უთხრა და გამეტებულად
მან ხელში მისცა ხელიო...

ონისიმე.

მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის

ქვემო იმერეთი

მუშაობა საბჭოთა არჩევნების კამპანიის ჩასატარებლად დაიწყო ქუთაისის მაზრის ყველა თემებში. უპარტიო გლეხები წელს იჩენენ უფრო მეტ ინტერესს მიმავალ საბჭოთა შემადგენლობის, საბჭოების საქმიანობის და საბჭოთა მშენებლობის მიმართ, ვიდრე გასულ წელს. ინტერესის გაღვიძება გლეხურ მასსაში გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ქუთაის მაზრის სათემო აღმასკომებთან მიმდინარე წელს მოწყობილ იქნა სექციები, სადაც სამუშაოდ მოწვეულ იქნენ საბჭოს უპარტიო წევრები—მუშები და გლეხები.

საარჩევნო მზადებაში დიდ მონაწილეობას ღებულობენ პარტიული ორგანიზაციები—სათემო და სასოფლო პარტიული უჯრედები. ამ ჟამად თემებში მიმდინარეობს უჯრედების კრებები, რომელნიც იხილავენ საკითხს გლეხური მასის აქტივის შესახებ.

ყოველი თემის აქტივი, რომელმაც თავის დეპუტატები უნდა წარგზავნოს საბჭოებში, შესდგება ღარიბი და საშუალო გლეხების, მოჯამაგირეების, კომკავშირელთა, პროფკავშირის წევრთა და პარტიული ამხანაგების წარმომადგენლებისაგან. ყოველგვარ კულაკურ ელემენტს გარეშე მდგარი აქტივი შესძლებს საბჭოებში აირჩიოს ისეთი დეპუტატები, რომელთა ინტერესები ეთანხმებიან გლეხობის ღარიბი ნაწილის სურვილებს. ეს გარემოება კი გააცხოველებს და სწორ გზაზე წარმართავს ახალ საბჭოების საქმიანობას. ქვემო იმერეთის გლეხობაში თავი იჩინა კოლექტიური მუშაობის წყურვილმა, ამის დამამტკიცებელია ალაგ-ალაგ კოლექტიური მეურნეობის მოწყობა.

გლეხური მასების ინტერესების გაცხოველების საბჭოებისადმი ხელი შეუწყო ზოგიერთი თემების მუშაობამ აღმშენებლობის დარგში და საბჭოების სწორმა მიდგომამ გლეხის ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებისადმი.

ქუთაისის მაზრის თემებს შორის აღსანიშნავია ბაღდათის, ქვემო სვიმონეთის, ვანის, ოფიჩხეთის სათემო აღმასკომების ნაყოფიერი მუშაობა. ფრიად დამაკმაყოფილებელია აგრეთვე სამტრედიის, დიდი ჯიხაიშის, პატრიკეთის და საწირეს საბჭოების საქმიანობა.

საგეგმო კომისიაში

საქალაქო დაზღვევის საქმე

საგეგმო კომისიამ მიიღო სახელმწიფო დაზღვევის სამართველოს მიერ შემუშავებული ინსტრუქცია საქალაქო დაზღვევის დროს შეღავათების მინიჭების წესის შესახებ საბიუჯეტო-საფინანსო სექციის სარედაქციო შესწორებით.

„საწერ-კალამი"

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოება—„საწერ-კალამი"-ს შესახებ შემუშავებული დებულება დამტკიცებულ იქნა საგეგმო კომისიის მიერ საბიუჯეტო-საფინანსო სექციის შესწორებით.

საამშენებლო მუშაობა ახალქალაქის მაზრაში

საგეგმო კომისიამ განიხილა საამშენებლო სექციის მიერ წარმოდგენილი დასკვნა ახალქალაქის მაზრის საამშენებლო მუშაობის შესახებ. კომისიამ საჭიროდ სცნო წყალსადენების გაყვანა და საჭირო პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა აღმასკომის მიერ.

ქ. ცაგერთან ცხენისწყალის ნაპირების გამაგრება

საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ქ. ცაგერთან ცხენისწყალის ნაპირების გამაგრების გეგმა და ხარჯთაღრიცხვა საამშენებლო სექციის განმარტების თანახმად.

აბაშის ჰიდრო-ელსადგური

საგეგმო კომისიის დადგენილებით შესდგა კომისია ინჟ. ჰიჰინაძისა, ყირსელაშვილისა, გიორგობიანისა და ზვარიკინის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა გაეცნოს ადგილობრივათ აბაშის გიდრო-ელსადგურის საამშენებლო მუშაობას და წარმოადგინოს სათანადო დასკვნა სადგურის ხარჯთაღრიცხვის შესახებ საგეგმო კომისიაში.

ეკონომიურ საბჭოში

კრედიტის მიცემა გურიის მითამბაქოთათვის.

ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო მიეცეს მიზნობრივი კრედიტი გურიის თამბაქოს მწარმოებელ გლეხობას წარმოკავშირის ჩვენებით და საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით.

ქუთაისის თამბაქოს ფაბრიკა.

ეკონომსაბჭოს დადგენილებით ქუთაისის თამბაქოს ფაბრიკა გაერთიანებულ იქნა ს. ჰ. მ. უ. ს. თამბაქოს ტრესტთან.

აღიძრა შუამდგომლობა ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წინაშე, რათა ქუთაისის თამბაქოს ფაბრიკა განთავისუფლებულ იქნეს საურავისაგან 21.166 მან. 70 კაპ. რაოდენობით.

მდ. ნატანების და ბჟუჟის წყლის ნაპირების გამაგრება.

წინადადება მიეცა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მდ. ნატანებისა და ბჟუჟის წყლის ნაპირების გასამაგრებლად საჭირო სამუშაოები თვითვე შესრულოს იმ თანხებიდან, რომელიც გადადებულია მის განკარგულებაში პატარა სამუშაოთათვის.

საზ. „ექსპორტპურ"-ს და ფოთის აღმასკომის ურთიერთობა.

წინადადება მიეცა საქ. სახ. „ექსპორტპურ"-ს იხადოს საიჯარო ქირა ფოთის აღმასკომის სასარგებლოდ, კუთვნილ № 11 საწყობის სარგებლობისათვის, იმავე რაოდენობით, რამდენსაც იხდიან სხვა სახელმწიფო ორგანიზაციები.

სამრეწველო ტრავმატიზმი საქართველოში

უბედური შემთხვევები მუშაობის დროს ანუ სამრეწველო ტრავმატიზმი, რომელიც მუშაობის პროცესთან არის დაკავშირებული, ამჟამად დიდი მნიშვნელობის საკითხად იქცა. სამრეწველო ტრავმატიზმს ჯანმრთელ მუშათა რიგებიდან გამოჰყავს ათასობით მუშა ხელი, რაც შედეგია იმ გარემოების რომ სათანადო სიმაღლეზე ვერ არის დაყენებული ტექნიკა ხიფათის თავიდან ასაცილებლად, არა თუ ტექნიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, არამედ თვით გერმანიაშიც ყოველ წლიურად ყოველ 1000 მუშაზე მოდის 60,01 უბედური შემთხვევა.

საქართველოში, სადაც უბედურ შემთხვევათა აღრიცხვა ვერ არის კარგათ დაყენებული, შრომის დაცვის განყოფილების ცნობებით, უბედურ შემთხვევათა რაოდენობას გამოხატავს შემდეგი ციფრები. სამი უკანასკნელ წლის განმავლობაში (1923, 24, 25 წლები) აღრიცხული იყო 362 უბედური შემთხვევა, აქედან სასიკვდილოდ დამარცხების შემთხვევათა რიცხვი უდრის—37, დაშავების და სხეულის დასახიჩრება—79, ხოლო მსუბუქი დაზარალება—258. საჭიროა აღინიშნოს, რომ ცნობები მოწმობენ სამრეწველო ტრავმატიზმის თანდათანობით ზრდას წლიდან წლამდე.

მრეწველობის ცალკე დარგების მიხედვით 1924—25 წელს მომხდარ უბედურ შემთხვევათა რიცხვი შემდეგნაირად ნაწილდება: მოპოვებითი მრეწველობაში—11, დამუშავებით მრეწველობაში—112, მშენებლობაში—82.

დღეების მიხედვით უბედურ შემთხვევათა ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის ორშაბათზე, ოთხშაბათზე და ხუთშაბათზე.

უბედურ შემთხვევათა მნიშვნელოვანი პროცენტი ორშაბათობით აიხსნება წინა უქმე დღის გავლენით, ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით მუშათა დაღლილობის ზრდით. გარდა ამისა უბედურ შემთხვევას უმეტეს ნაწილად ადგილი აქვს 3-დან—4 საათამდე, რაც აიხსნება ისევ და ისევ მუშების დაქანცულობის ზრდით. რა იწვევს უბედურ შემთხვევებს? შრომის დაცვის განყოფილების ტექნიკური ინსპექციის ცნობებით, 137 უბედური შემთხვევა ანუ ნახევარზე მეტი მომხდარა თვით მუშების დაუდევრობით და გაუფრთხილებლობით, 39 შემთხვევა გამოწვეულია შრომის არანორმალური პირობებით, 16 შემთხვევა შედეგია თავდაცვით, საშუალებების და სპეცტანსაცმელის უქონლობით, 7 შემთხვევა გამოუწვევია მუშების მიერ ტექნიკის და სიფრთხილის წესების დარღვევას. ამას გვაუწყებს ტექნიკური ინსპექციის ცნობები.

მაგრამ უბედურ შემთხვევათა სერიოზული შესწავლა და დაკვირვება სულ სხვა დასკვნებს იძლევა. უბედურ შემთხვევათა პირველ და ძირითად მიზეზად აუცილებლად ცნობილი უნდა იქნეს ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები და მაღაროები, რომელნიც უშიშროების თვალსაზრისით არასოდეს არ ყოფილან სათანადოთ მოწყობილნი. მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი არის არყოლა ისეთი კვალიფიკაციური მუშებისა, რომელნიც კარგათ გაცნობილ არიან ტექნიკასთან. მესამე მიზეზი არის—ნარდი მუშაობა. მუშები ხშირად ნორმაზე მეტის გაკეთების მიზნით, არ ერიდებიან საშიშ შემთხვევებს მუშაობის დროს.

გარდა ამისა, მუშების დაღლა, სპეცტანსაცმელის უქონლობა და საშიშ შემთხვევებისაგან დაცვის ტექნიკის წესების დარღვევა ზრდის უბედურ შემთხვევათა რიცხვს.

სამრეწველო ტრავმატიზმის აღსაკვეთად საჭიროა შრომის ინსპექციის მიერ გამომუშავებული წესების დაცვა, რაციონალური ბრძოლა დაღლილობასთან, შრომის ნორმალური რეჟიმისა და დასვენების შემოღებით და მთელ რიგ ღონისძიებათა გატარება ჩვენ წარმოებათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს, რომ უბედურ შემთხვევათა სტატისტიკა არ დგას სათანადო სიმაღლეზე. დღემდე საწარმოო დაწესებულებებში რეგისტრაციაში არ ატარებენ უბედურ შემთხვევებს, თუ იგი სასიკვდილო ან მძიმე ხასიათის არ არის. საჭიროა ამას მიექცეს სათანადო ყურადღება, რათა შესაძლებელი გახდეს სამრეწველო ტრავმატიზმის შესწავლა და მასთან ბრძოლა.

ჰ. მ—ლი.

საბჭოთა აღმშენებლობა

ცემენტის ქარხნის ასაგებათ

საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განზრახვა აქვს მოაწყოს ცემენტის დასამზადებელი ქარხანა. ცემენტის მადნები საქართველოში ბევრ ადგილას მოიპოვება, მაგრამ მათ შორის ყველაზე შესანიშნავია კავთისხევის ცემენტის მადნები, რომელიც, როგორც ქიმიურმა და მექანიკურმა ანალიზმა დაამტკიცა, თავის ღირსებით პირველი ხარისხის ცემენტს თუ არ სჯობია, არ ჩამოუვარდება. მადნები უჭირავთ 100 დესეტინა მოედანს, ხოლო ფენების სისქე 30 საჟენს აღემატება. მადნების დიდ უპირატესობას შეადგენს აგრეთვე ის, რომ რკინისგზის ახლოს მდებარეობენ. ამის გამო სამეცნიერო ტექნიკურ კომიტეტის მიერ კავთისხევი ცნობილია საუკეთესო ადგილათ ცემენტის ქარხნის ასაგებად. საკითხი ცემენტის წარმოების შესახებ ირჩეოდა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმში, რომელმაც დაამტკიცა ქარხნის აგების გეგმა.

წინასწარი ვარაუდით ქარხნის მექანიკური მოწყობა დაჯდება დაახლოებით ერთი მილიონი მანეთი.

ქრონიკა

საქ. ცაკში

— **დახმარება მეცხვარეებს.** საქ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სახ. კომისართა საბჭოს, მეცხვარეთა ამხ—ბას „თერგის ხევს" მისცეს გრძელვადიანი სესხი 55,000 მანეთის რაოდენობით ცხვრის ფარეხებისათვის საკვების შესაძენათ.

— **საქ. ცაკმა წინადადება მისცა** ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს და აღმასკომებს, რათა დაუყოვნებლივ გაასწორონ დამზღვევ სალაროებისადმი დავალიანება და აგრეთვე შემდეგში მიიღონ ზომები დავალიანების თავიდან ასაცდენათ.

თბილისის აღმასკომში.

— **მოძრავი სახელოსნოები.** მაზრაში მეურნე გლეხებისათვის დახმარების გაწევის მიზნით, თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაკეთებელი მოძრავი სახელოსნოები.

— **ტრაქტორების შესასწავლ** კურსებზე თბ. აღმასკომმა დაადგინა თავის ხარჯზე გაგზავნოს რამდენიმე გლეხი მაზრიდან.

— **ბალნეოლოგიურ საავადმყოფოს** მოსაწყობად თბ. აღმასკომმა დაადგინა კომუნალურ ბანკიდან სესხად აიღოს 40.000 მან.

— **აგრო-დახმარების პუნქტებში** ბეღლებისა და ფარდულების მოსაწყობათ თბ. აღმასკომმა გადასდო 1250 მან.

სხვადასხვა.

— **სამხედრო ნაწილებში.** დასრულდა ა.-კავკასიის შემსწავლელი წრეების მოწყობა.

შრომის სახ. კომისარიატში.

— **შინამრეწველ ხელოსანთა** შრომის საკითხების მოსაწესრიგებლად შრომის სახ. კომისარიატი ახლო მომავალში იწვევს განსაკუთრებულ თათბირს.

დამზღვევ სალაროში

— **უმუშევრებს,** რომლებსაც აქვთ წიგნაკი № 5801-დან 6500-მდე ნოემბრის თვის დახმარება მიეცემათ დღეს.

სალაროს მთელ რიგ განყოფილებებში სისუფთავის დაცვის მიზნით მოსამსახურეებს მიეცათ სპეცტანისამოსი თეთრი ხალათები.

პროფ. გ. მუხაძის ავადმყოფობა

— პროფ. მუხაძე, რომელიც ავად იყო პარტახტიანი ტიფით, ამჟამად უკეთ გრძნობს თავს. კრიზისმა უკვე განვლო.

— **კლუბის გახსნის გადადება.** ინჟენერ-ტეხ. კლუბის საზეიმო გახსნა, რომელიც 28 ნოემბრისათვის იყო დანიშნული, გადადებულია.

ექიმთა ყრილობა

25 ნოემბერს ჯანსახკომის სან. განათლების თეატრის დარბაზში შესდგა ქალ. თბილისის და მისი მაზრის ექიმთა საერთო კრება. კრებას დაესწრო 150-მდე ექიმი. კრების დღის წესრიგში დასმულ იყო ორი საკითხი: 1. ექიმთა სექციის ცენტრალური ბიუროს ანგარიში, 2. სრულიად საქართველოს ექიმთა მე-3 ყრილობაზე გასაგზავნათ დელეგატთა არჩევნები. ცენტრალურ ბიუროს ანგარიში საერთო კრების მიერ ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად და არჩეულ იქნა მესამე ყრილობაზე დასასწრებლად 40 დელეგატი და 11 კანდიდატი. ხუთშაბათს 26 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ჯანსახკომის სანგანათლების თეატრის დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს ექიმთა მესამე ყრილობა, ყრილობას დაესწრო ქალ. თბილისიდან 51 დელეგატი და კანდიდატი და მაზრებიდან 15 დელეგატი.

ხელოვნება

სანდრო ინაშვილის ჩამოსვლა

გუშინ იტალიიდან თბილისში ჩამოვიდა მომღერალი სანდრო ინაშვილი, რომელიც 1923 წ. მაისში გაემგზავრა მილანში. იქ ჩასვლისას, ის 8 თვის განმავლობაში სწავლობდა იტალიურ ენას და აგრეთვე იტალიურ ოპერებს გამოჩენილ პროფესორებთან—ჯირალდოსთან და დელი-პონტოსთან. ერთი წლის შემდეგ ის პირველად გამოვიდა დიდ თეატრალურ ქალაქის—მაჩერატოს თეატრში, რომელიც იტევს 4 ათას მაყურებელს. მიწვეული იყო 8 წარმოდგენაზე; რვაჯერვე იმღერა „კარმენში" ტორეადორი. იტალიის გაზეთები მის გამოსვლას კმაყოფილებით შეხვდნენ.



სანდრო ინაშვილი

1924 წ. დეკემბერში ინაშვილი მიიწვიეს ესპანეთის დედა-ქალაქის მადრიდის სახელმწიფო თეატრში, სადაც პირველად იმღერა „ჰუგენოტებში" ნევერის პარტია. შემდეგ მღეროდა „აიდაში" და „კარმენში" მთელი სამი თვის განმავლობაში. ესპანეთის ჟურნალ-გაზეთები სიხარულით აღნიშნავდნენ ინაშვილის გამოსვლებს.

რამოდენიმე თვის შემდეგ ინაშვილი ავად გახდა და იძულებული შეიქნა დაბრუნებულიყო უკან, იტალიაში (მილანში), სადაც ავადმყოფობდა მთელი 9 თვის განმავლობაში.

მოკეთების შემდეგ ის გამოვიდა 3 კონცერტზე, რომელიც მოწყობილ იქნა „სიმღერის ინტერნაციონალურ ინსტიტუტში".

კონცერტებზე ის მღეროდა იტალიანურად და საზოგადოების თხოვნით შემდეგში მღეროდა ქართულადაც. უმთავრესად ასრულებდა არაყიშვილის რომანსებს და არაბის არიას „თქმულება შოთა რუსთაველიდან". საზოგადოება თბილად შეხვდა მომღერალს.

ამის შემდეგ ის მიიწვიეს ამერიკაში, მაგრამ ეს არ მოხერხდა, რადგან ჯანმრთელობა ამას ხელს არ უწყობდა. ის იძულებული შეიქნა მიმდინარე სეზონში დარჩენილიყო მილანის თეატრში („ლასკალა") ვაგნერის ოპერებში გამოსასვლელად. ამ დროს ის გამოიწვიეს საქართველოში, საიდანაც წამოვიდა 12 ნოემბერს.

ინაშვილი პირველად გამოვა ჩვენს ოპერაში „ტოსკაში" იტალიანურ ენაზე, ხოლო შემდეგ კი—მურმანის პარტიაში. **გ—ლი.**

ხელოვნების ქრონიკა

ახალი მწერლობის საღამოები

— კვირას, 29 ნოემბერს ხელოვანთა სასახლის ცისფერ დარბაზში გრ. რობაქიძე წაიკითხავს რომანს „გველის პერანგი".

— სამშაბათს, 1 დეკემბერს გ. ქიქოძე წაიკითხავს საშუალო საუკუნოების რომანს „წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი".

— პარასკევს, 3 დეკემბერს მიხ. ჯავახიშვილი წაიკითხავს რომანს „წითელი ჯავშანი".

— სერგო კლდიაშვილი—„ქალაქი ხევში".

— კვირას, 7 დეკემბერს მოხდება სეზონის საჯარო გახსნა.

— „ტაპუ". კონსტანტინე გამსახურდიამ დასწერა ახალი მოთხრობა „ტაპუ". ძველი ოდიშის დემონოლოგიიდან. მოთხრობა დაიბეჭდება „ახალ კავკასიონის" მორიგ ნომერში.

— კონცერტი. სახელმწიფო კონსერვატორიაში დღეს გაიმართება კონცერტი ნახუნთოს თემის სოფ. წინაკვერკვეს სასარგებლოდ. კონცერტში მონაწილეობენ: დ. ამდღულაძე, დ. ბადრიძე, მ. გაბილაია, ნ. ელიოზიშვილი, მ. ექსანიშვილი, გ. ვუნაძე, ნ. თოიძე, გ. თიქთაქიშვილი, შ. თაქთაქიშვილი, ქ. მაყაშვილი, ე. მიჰავარიანი, ბ. მრავალი, გ. ნეიმანი, ა. სვანიძე, ნ. ქუმსიაშვილი, მ. ძიძიშვილი, შ. ცირღილაძე. შესრულებული იქნება ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებნი.

— კონსერვატორიაში. კონსერვატორიის მოწაფეთა პირველი ღია საღამო დანიშნულია ორშაბათს, 30 ნოემბერს საღამოს 8 საათზე.

— ოპერის თეატრში. დღეს წარმოდგენილი იქნება „კარმენი".

— რუსთაველის თეატრში. დღეს წარმოდგენილი იქნება „გააზნაურებული მდაბიო".

— „ნასაკირალი". სარეპერტუარო კომისიამ მიიღო რუსთაველის თეატრში დასადგმელათ იონა ვაკელის პიესა „ნასაკირალი".

— სომეხ ხელოვანთა სახლში „ჰაირატუნში" 1 დეკემბერს გაიმართება იმავე სახლთან არსებულ მუსიკალური სტუდიის მოწაფეთა საჯარო საღამო.

— კონსერვატორიაში 1 დეკემბერს გაიმართება ტერენტი გრანელის საღამო.

ორშაბათს, 30 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე
სახელმწიფო საოპერო თეატრის დარბაზში
გაიხსნება

საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-4 ყრილობა

დღის წესრიგი:

1) ცეკას ანგარიში,
2) სარევიზიო კომისიის ანგარიში,
3) საკონტროლო კომისიის ანგარიში,
4) პროფკავშირების ამოცანები,
5) საქართველოს მრეწველობა და მისი პერსპექტივები,
6) სოფლად მუშაობა და ძირითადი საბჭოთა აპარატის გადარჩევა,
7) არჩევნები უმაღლეს პარტიულ ორგანოებში და დელეგატების არჩევნები ა/კ. პარტყრილობაზე და რ. კ. პ. XIV ყრილობაზე

ცეკას მდივანი: ქართველიშვილი.

„კომუნისტი"-ს
დამატება
„მეცნიერება და ტეხნიკა" № 22
დაიბეჭდა და კვირის ნომერთან ერთად
დაურიგდება ხელისმომწერლებს

ორშაბათს, 30 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე
მოწვეულია

თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომა

1. კომუნალური—(წითელი თეატრი).

დღის წესრიგი:

ა) თბილისის აღმასკომის 1925 | 26 წლის ბიუჯეტის განხილვა.
ბ) მოხსენება საბინაო საკითხის შესახებ.
გ) მიმდინარე საკითხები.

2. საფინანსო—(აღმასკომის შენ. ოთახი № 17).

დღის წესრიგი:

ა) თბილისის აღმასკომის 1925 | 26 წლის ბიუჯეტის განხილვა.
ბ) მიმდინარე საკითხები.

3. სახალხო განათლების—(აღმასკომის შენ. ოთახი № 82).

დღის წესრიგი:

ა) თბილისის აღმასკომის 1925 | 26 წლის ბიუჯეტის განხილვა.
ბ) პოლიტგანის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ.
გ) დამხმარე საბჭოების დებულების განხილვა.
დ) სკოლებზე მიმაგრებულ სექციის წევრთა მოხსენებები.
ე) მიმდინარე საკითხები (ინფორმაცია სკოლების შენობის შეკეთების შესახებ და სხვ.)

4. ჯანმრთელობის—(აღმასკომის შენ. ოთახი № 57.)

დღის წესრიგი:

ა) თბილისის აღმასკომის 1925 | 26 წლის ბიუჯეტის განხილვა.
ბ) მოხსენება ქალაქის და დამზღვევ სალაროს ამბულატორიათა გამოკვლევის შესახებ.
გ) მოხსენება დედათა და ბავშვთა დაცვის საქმის გამოკვლევის შესახებ.
დ) მიმდინარე საკითხები.

5. სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის—(აღ. შენ. ოთახი № 28).

დღის წესრიგი:

ა) თბილისის აღმასკომის 1925 | 26 წლის ბიუჯეტის განხილვა.
ბ) მოხსენება ტრაქტორებით მუშაობის შესახებ.
გ) სავეტერინარო დახმარება და ჭირთან ბრძოლა მაზრაში.
დ) მიმდინარე საკითხები.

6. სამხედრო—(აღმასკომის დარბაზი).

დღის წესრიგი:

ა) თბილისის აღმასკომის 1925 | 26 წლის ბიუჯეტის განხილვა.
ბ) ქალაქის კომენდანტის მოხსენება სამხედრო მუშაკთათვის ბინების აღმოჩენის შესახებ.
გ) მოხსენება ყაზარმების შესაკეთებლად გაღებული თანხების რაოდენობისა და მისი გაცემის წესის შესახებ.
გ) მოხსენება „ჩოთქის" სახელოსნოს გამოკვლევის შედეგების შესახებ.
დ) მოხსენება ძველი შემადგენლობის ბიუროსაგან თანხების მიღების შესახებ.
ე) მიმდინარე საკითხები.

თავის სექციების მიხედვით საბჭოს ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

ნ. 321 2—1. პრეზიდიუმი.

მეცნიერება და ტეხნიკა

მკვდარი ადამიანის გაცოცხლება

ზოგს შეიძლება ზღაპრად მოეჩვენოს ეს ამბავი, მაგრამ მას ნამდვილად ჰქონდა ადგილი ნოემბრის შუა რიცხვებში სამხედრო-საექიმო აკადემიის ქირურგიულ კლინიკაში (ლენინგრადში). კლინიკაში მიიყვანეს ავადმყოფი, რომელსაც ოთხი საათის განმავლობაში განუვითარდა მუცლის ფარის ანთების მძიმე მოვლენები, რაც შედეგათ მოყვა კუჭის წყლულის ნიადაგზე გახევას.

ავადმყოფს სასწრაფოთ გაუკეთეს ოპერაცია, რომლის შემდეგ ის გარდაიცვალა. გულმა შესწყვიტა მუშაობა, მაჯისცემა გაქრა, სულისთქმა შეწყდა. ის დაასვენეს საკაცეზე, რომ გაესვენებიათ მკვდრების ოთახში. ექიმს, რომელმაც განსვენებულს ოპერაცია გაუკეთა, პრივატ-დოცენტს მ. ს. ლისიცინს აზრათ მოუვიდა მკვდრის გულის გაცოცხლება გულის მარჯვენა პარკუჭში 1 კუბ. ს. ნტ. ადრენალინის შეშხაპუნებით, რაც მან შეასრულა.

ორი წამის შემდეგ „მკვდარმა" მძიმეთ ამოისუნთქა და შემდეგ 50 წუთის განმავლობაში ექიმების, დებისა და სტუდენტების თვალწინ ნელ-ნელა იწყო გაცოცხლება. გულმა განაახლა მუშაობა, სუნთქვაც განახლდა, ხელფეხი ამოძრავდა და „მკვდარმა" დაიწყო კვნესა.

24 საათის შემდეგ „მკვდარი" სავსებით მოვიდა გონს და ელაპარაკებოდა ექიმებს. მისი გული დამაკმაყოფილებლად მუშაობდა. ორი დღის შემდეგ ავადმყოფი გარდაიცვალა მუცლის ფარის სწრაფად განვითარებული ანთებისა და სისხლნაკლებობისაგან.

მეტად საინტერესოა ის აზრი, რომელიც ზოგიერთმა მეცნიერმა გამოსთქვა ამ შემთხვევის გამო.

პროფ. ვ. პ. ოპპელი:—გულის გაცოცხლება შესაძლებელია, სახელდობრ იმ შემთხვევებში, როცა გული კვდება, ასე გსთქვათ, ძალაუნებურად, ე. ი. იმ დროს, როცა მას კიდევ შეუძლია მუშაობა. ასეთი შემთხვევების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს მოგუდვა ტვინის ცენტრების ან ე. წ. გულის პერიფერიული ნერვების დამბლა.

შეიძლება, მაგალითად, მკვდრისგან ამოჭრილი გულის გაცოცხლება. შეიძლება გაცოცხლება ბავშვის გულის, რომელსაც ამოსჭრიან გარდაცვალებიდან 24 საათის შემდეგ.

პროფ. ე. ს. ლონდონი:—მე ვფიქრობ, რომ, თუ გულის გაცოცხლების შესაძლებლობა დამტკიცდება კიდევ რამდენიმე მაგალითით, ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ გულის გაცოცხლება შეიძლება იმ შემთხვევებში, თუ სიკვდილი შედეგათ მოყვება ნერვების აშლილობას და ან სხვა ამგვარ მოვლენას, მაშინ გული განაგრძობს მუშაობას, მაგრამ იმდენათ სუსტათ, რომ შენიშვნა ამისი ძნელია. და ბოლოს, შესაძლებელია გულის გაცოცხლება იმ შემთხვევებში, როცა ადგილი აქვს გულის მკვებავ მილების სიდამბლეს.

შემთხვევები

— **ავტომობილის ქვეშ.** 26 ნოემ. დღით კახეთის მოედანზე ავტომობილი დაეჯახა 10 წ. ბავშვს გეურქ სარქისოვს, და მძიმედ დააშავა. შოფერი ორდინოვი შეიპყრეს.

— **აზოტის სიმჟავის შესხმა სახეზე.** 26 ნოემბერს, დურგლის შესახ. № 1 სახლთან ფეოდოსია შლიოტკინს ირინა ყუბაშოვა-შუმცოვამ სახეში შეასხა აზოტის სიმჟავე და საგრძნობლად დააზიანა. დამნაშავე შეიპყრეს.

— **გაუპატიურება.** 18 ნოემ. საღამოს სოფ. ჯიბოტაში მასწავლებელ ქალს მიუხტნენ გაუპატიურების მიზნით ძმები გიორგი და მიტო მათურელები, მაგრამ განზრახვა პირველმა მათგანმა სისრულეში ვერ მოიყვანა, რის გამო ხანჯლით დაიჭრა ნოემბ. თავი. ორივე დამნაშავე შეპყრობილია.

— **სასტუმროს გაქურდვა.** 26 ნოემ. გაქურდეს სასტუმრო „იბერია".

— **შეპყრობა.** 26 ნოემ. ა.-კ. საგანგებო კომისიის სანოვაგეთა დამმზადებელ საწყობიდან მოიპარეს 59 ც. ტომარა. ეჭვით შეიპყრეს სარობეგა ოვეიანცი და არტუმანა პეტროსიანცი.

— **ქურდობა.** 25 ნოემ. კომუნალური ქ. № 45 მუსტაფა აბდულ ოღლის ბინიდან მოიპარეს 900 მან.

— 26 ნოემ. პლეხ. პრ. № 75 გაქურდეს ანა ვასილიევის ბინა.

დავეხმაროთ „წერკუმს“-ს

თბილისის საქონლის და საფონდო ბირჟის კომიტეტმა შესწირა საქ. წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოებას—წერკუმს-ს 500 მანეთი.

—

შემაქვს წერკუმს-ის სასარგებლოდ 5 მანეთი ამხ. ლომთათიძის გამოწვევით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: პარმენ ცინცაძეს, ვარდენ კალანდაძეს, თეოფილე ჩიჩუას, ერასტი ჩიგოგიძეს, ქრისტეფორე ვასაძეს, ნიტიფო ჩხარტიშვილს, მამია თოლორდავას, ყარამან ქორციავაძეს, ოლია საბაშვილს და გიორგი ქილიფთარს.

აღნიშნული თანხა შემაქვს ოზურგეთის სამაზრო წერკუმს-ის გამგეობის სალაროში და ვსთხოვ ამავე სალაროში შემოიტანონ თავიანთი წვლილი ჩემს მიერ გამოწვეულმა ამხანაგებმა.

გერმანე კვაჭაძე.

—

შემაქვს წერკუმს-ის სასარგებლოდ ამხ. ნ. კნაპის გამოწვევით 5 მანეთი და გიწვევ არტამონ გოლეთიანს.

მიხეილ ბიბინეიშვილი.

—

შემაქვს წერკუმს-ის სასარგებლოდ და ვიწვევ ათ-ათ მანეთით შემდეგ ამხანაგებს: ალექსანდრე ჯაყელს, (შ. ქვ. მრეწველი) პორფილე თოფურიას (შ. ქ. მრეწვ.), იასონ ბაქრაძეს („ჩემოდანი“), ირაკლი წერეთელს (იქვე), მოსე ხითაროვს.

პარმენ გედევანიშვილი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მაქვს თუ არა უფლება მშობლების ქონებაზე

კითხვა

მე ვცხოვრობდი მამაჩემთან 20 წელი. ვშრომობდი ოჯახში. ეხლა გავთხოვდი. გთხოვთ მიპასუხოთ: მერგება თუ არა მამის ქონებიდან ჩემი წილი. მამას ყავს ჩემიანათ სამი შვილი: 2 ქალი და ერთი ვაჟი.

ნადია ჯიქია.

—

პასუხი

თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 123-ის შვილებს (ამ შემთხვევაში თქვენც) არა აქვთ უფლება მშობლების ქონებაზე (მათ სიცოცხლის დროს) ისე, როგორც არც **მშობლებს** აქვთ **უფლება** შვილების ქონებაზე.

ყოფილ ტერარმიელს ამხ. მაღალაშვილს

პასუხი

შუშა-მოსამსახურეთ, რომელთა ჰასაკის მოქალაქენი უკვე დათხოვნილი არიან წითელი ფლოტი და არმიიდან ეკუთვნით მათ მუდმივ სამუშაოს ადგილიდან ტერ-ნაწილის ცვალებად შემადგენლობაში მეცადინეობის და შეკრების მთელი ხნის განმავლობაში მათი საშუალო ხელფასის ორიმესამედი, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვის ხანგრძლივობით წელიწადში.

(იხ. სამხედ. კანონთა კოდექსი სამხედრო-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთათვის დაწესებულ შეღავათებზე და პრივილეგიებზე მუხ. 95 ს. ს. ს. რ. ცაკის მეორე სესიის დამტკიცებული 1924 წ. 29 ოქტომბრიდან.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ორშაბათს, 30 ნოემბერს, დილის 10 საათზე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ც. კ. ბინაზე შესდგება **თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის სხდომა.**

დასწრება ამხანაგების—კირვალიძის, კოჩე ტკოვის, ტრდატიანის, იოსელევიჩის, მედვედევის, ატაბეკოვის, პირიაშვილის სავალდებულოა.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის აღმრიცხვ. განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს გამოცხადდენ ამხ. ჩარკვიანთან შემდეგი ამხანაგები: 1. არსოშვილი ალექსანდრე ესტატეს ძე, 2. ო ჰანეზოვი იოანე ადამის ძე, 3. ალიოშკინი ილია გრიგოლის ძე, 4. შიუკაშვილი ანდრო.

— ს. კ. პ. ც. კ. საად.-განმანაწ. განყ. წინადადებას აძლევს ანდრო ბუაჩიძეს გამოცხადდეს დაუყოვნებლივ ცეკაში.

საად.-გან მანაწ. განყ. გამგის: მაგ. **ბლაგიძე.**

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ავჭალის ქ | რაიკომი იტყობინება, რომ ა. წ., 28 ნოემბერს, დილის 9 საათზე ქ. რაიკომის ბინაზე შესდგება ავჭალის რაიკომის მდივანთა თათბირი.

უ ჯრედების მდივნების დასწრება დაუგვიანებლად სავალდებულოა.

ავჭალის ქ | რაიკომის მდივანი: **ლობჟანიძე.**

განცხადებები

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს უწყინარ და გულწრფელ ამხანაგის

მიხეილ ივანეს ძე ზოზაძის

გარდაცვალებას, რომლის გასვენება მოხდება, დღეს 12 საათზე. ელისაბედის ქ. № 59. 1—1 636

ღრმათ დამწუხრებული სტეფანე იოსების ძე ლეკიშვილი ამით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს მისი უფროსი ძმის

მიშა ივანეს ძის ზოზაძის

უდროოვოთ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას 29 ნოემბერს, დღის 12 საათ. ელისაბედის ქ. 59.

1—1 638

ღრმათ დამწუხრებულნი: დედა სალომე, მეუღლე მარიამი და ბაბილინა და ძმები გერვასი და პიმენი ამით აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს

მიშა ივანეს ძე ზოზაძის

უდროვოდ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება, კვირას 29 ნოემბერს, დღის 12 საათზე მისამართი: ელისაბედის ქ. 59.

1—1 638

ღრმად დამწუხრებული დედ-მამა: დეკანოზი თომა სპირიდ-ის ძე და ოლღა იოსების ასული, ძმა და დები—შალვა, ვალენტინა, ქეთევანი, ნინო და თამარ, რძალი ლიდა მელიტონის ასული დუგლაძეები აუწყებენ ნათესავთ, ახლობელთ და ნაცნობებს, რომ ძვირფას და დაუვიწყარ

ქრისტინე თომა დუგლაძის ასულის

გარდაცვალებიდან ნახევარის წლის შესრულების გამო წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, ნოემბრის 29-ს, დღის 11 საათზე ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე. 644 1—1

დღემდის ნუგეშ მოკლებული—დედა პელაგია და შვილები ამისი ანტონი, ვასო, სანდრო და სერგო—კვირას, 29 ნოემბერს, ნაშუადღევის 12 საათზე, ნიკოლოზის ვერის სასაფლაოზე მოიგონებენ პირველი—დაუვიწყარის პირველის შვილის, ხოლო მეორენი—ძვირფას უფროსი ძმის

ფილიპე ჟორჟოლიანის

ომში მისი დაღუპვიდან 10 წლის შესრულებას. 1—1

ვაჟი, ქალიშვილები, რძალი, სიძე და შვილიშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 29 ამა ნოემბერს, დღის 12 საათზე, გადახდილი იქნება მათი დაუვიწყარი და საყვარელი დედის

ოლღა ოთარის ასულის ფანიაშვილის

გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად პანაშვიდი სამარეზე, კუკიის სასაფლაოზე. 641 1—1

აპოლლო ართისტკო ლოჟეი

პრემიერა „მეჟრაბპომ-რუს“-ის გამოცემა

„Закройщик из Торжка“

მთავარ როლში **იგორ ილინსკი.** სიმებიანი ორკესტრი რომანოვსკის ხელმძღვანელობით.

იშვიათი სურათი

ნიშანი Z ზერო

მთავარ როლში **დუგლას ფერბენკს.** გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრები.

სოლეიში—რეიზნერის ხელმძღვანელობით, არფასტოში—ბელსკის ხელმძღვანელობით. სოლისტი—**იაკობ ბროდსკი.**

0-10 ნ. 254

რუსთაველის თეატრი

შაბათს, 28 ნოემბერს

პირველად ამ სეზონში

გააზნაურებული მდაბიო

დადგმა კ. მარჯანიშვილის

კვირას წარმოდგენა არ არის

სამშაბათს, 1 დეკემბერს

ჰამლეტ

მონაწილეობს პირველი შემადგენლობა

ნ. 313 4-1 დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 28 ნოემბერს

კარმენი

3—1 ნ. 306

ინჟენერ ტეხნიკოსთა კლუბის გახსნა,

რომელიც 28 ნოემბრისათვის იყო დანიშნული

გადადებულია. 635 1—1

ქალ. ქუთაისში გაზ. „კომუნისტ“-ზე ხელის მოწერა

ამა წლის დეკემბრის 1-დან მიიღება მხოლოდ კონტრაგენტ

მინა ტყაბლაძესთან

0—3 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“ (ქართულ ენაზე).

მოწაფეებს მიეცემათ შეღავათი, თუ ხსენებული სახელმძღვანელო დაკვეთილი იქნება 10 ცალზე მეტი

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—23

ს. ს. ს. რ. ჯანსახკომისარიატის

საორგანიზაციო განყოფილება ამით აცხადებს, რომ

საჭიროა

შემდეგი მედპერსონალი

შორაპნის მაზრისათვის **ოთხი ექიმი** თერაპევტი, ჯამაგირი თვეში 150 მან. და **ხუთი ექიმის თანაშემწე** ხუთი ექიმის თანაშემწეს ჯამაგირი—70 მ. აფხაზეთისათვის **ერთი ექიმი** თერაპევტი, ჯამაგირით თვეში 125 მან. სამხრეთ ოსეთისათვის **ორი ბებია ექიმის თანაშემწე** ჯამაგირით თვეში 40 მან.

დანარჩენ მაზრებისათვის საჭიროა 50 ექიმი ჯამაგირი 60—200 მანეთამდე თვეში

ცნობისათვის მიმართეთ ჯან. სახ. კომისარიატის საჯ.-საორგ. განყოფილებას. საპიორის ქ. № 30

საადმ. საორგ. განყ. გამგის მაგ. **იაკობაშვილი**

ნ. 323—0—1

თბილისის დამზღვევი კასა

ამით აუწყებს ყველა წარმოება დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომლებიც სარგებლობდენ მეეზოვეების, შინაურ მოსამსახურეების და აღმშენებელთა მუშების დაქირავებითი შრომით, რომ სოცდაზღვევის საპროცენტო ანარიცხები ხსენებულ პირებზე 26 ნოემბრიდან ა | წ. უშუალოთ **შემოტანილი უნდა იქნეს** თბილისის დამზღვევ კასის „ერთეულთა“ ბიუროში, რომელიც მოთავსებულია ვოლოდარსკის ქ. № 1 (ყოფ. მადათოვის ქ.).

მანდატები და ყოველგვარი **მოწმობები**, რომელიც გაცემული იყო თბილისის დამზღვევ კასის მიერ 26 ნოემბრამდე ა | წ. ზემოთ ხსენებულ პირებისაგან სოცდაზღვევის საპროცენტო ანარიცხების მოკრების შესახებ უნდა **ჩაითვალოს გაუქმებულად.**

გამგეობის თავმჯდომარის მოადგ. **არჩვაძე**

საფ. განყ. გამგე **მაჭავარიანი**

ნ. 311—3—1 საქმეთა მმართველი **საბაშვილი**

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა ჯანმრთელობის სამმართველო იწვევს სამსახურში

სანიტარულ ინჟენერ-ჰიდროტეხნიკოსს

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს ვრცელი სამეცნიერო ნაშრომი, თუ ასეთი აქვს განცხადების შემომტანს.

პირობების გაგება პირადათ შეიძლება სამმართველოში (პლეხანოვის ქ. № 142).

12-დან დღის 1 საათამდე. ნ. 304 2—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექიმი ნ. გ. ახვერდოვი

დაბრუნდა გერმანიიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება ქალურ ავადმყოფობასა და მეანობაში, სინათლით მკურნალობა.

ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათამდე, საღამოთი 4—7 საათამდე, ყოველ-დღე. ვერის დაღმართი № 15.

მატარებლების მიმოსვლის ცხრილის შეცვლა

კახეთის გზაზე

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო აცხადებს, რომ მგზავრებისათვის მოხერხებული პირობების შესაქმნელად სამგზავრო-სამარგო მატარებლები №№ 21 და 22 თბილისსა და წნორის წყალს შორის

იხსნება 26 ნოემბრიდან

ამავე რიცხვიდან თბილისი—თელავი—წნორის წყალის ხაზზე

ინიშნება ყოველდღიური პირდაპირი მატარებლები

№ 11 | 12. მატარებელი თბილისიდან გადის დილის 8 საათზე; გურჯაანში მიდის 13 საათ. 58 წუთ. თელავში გადის 14 საათ. 25 წუთ. წნორის წყალში 14 საათ. 40 წუთ. თელავში მიდის 16 საათზე, წნორის-წყალში 19 საათ. 30 წუთი. თბილისში მოდის დილის 5 საათზე მოსკოვის დროით. მატარებელში არის მაგარი საჯდომი ადგილები. ნ. 308 2—1

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლო აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ 1 დეკემბერს, 1925 წ. დღის 12 საათზე, დარაბაში № 2602 ცენტრალურ ბაზარში საჯარო ვაჭრობით გაყიდის ქრისტეფორე კოსაკოვის მოძრავ ქონებას: ფართლეულობას შეფასებულს 290 მანეთად, ნინო როსტომოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის ყოფ. მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 29 აგვისტოს 1924 წ. თარიღით, № 1203 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

639 1—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (გორომწყოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონდი). გარდა საქმით, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ბებუთოვის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33,

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სხ. ს. ქესო ორგანოს ყველა გართულებანი) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ.

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი №8.

ქიმიურ-ბაქტერიოლოგ. კაბინეთი

ექიმ ნ. პ. ფალიაშვილის

მიიღებს ყოველგვარ მედიკურ ანალიზებს შარდის, სისხლის, ნახველის და სხვა; ვასერმანის რეაქცია (ათამანგზე), ბეზრედკოსი (ბლეკზე) და სხვა; ანალიზებს მიიღებს მთელი დღე. პირადათ საღამო 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა; ბაქრაძის შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.

პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს“ პირდაპირ. მიღება 8—11 დილ., 6—8 საღ.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. **მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი**

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ექიმი შუხმანი

ვენერიული და შარდ-სასქესო ორგანოების ავადმყოფობანი.

მიღება ქალებისათვის 2—3 საათამდე, მამაკაცებისათვის—საღამოს 5—7 საათამდე.

ელისაბედის ქ. 89.

(ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).

დაბრუნდა

ექიმი ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.

ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათ. ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება დილის 8—9 საათ. და საღ. 6—7 ს. კამოს ქუჩ. № 72 (ყოფილი დიდი მთავრის).

ექიმი ვ. ს. არგუტინსკი

ელისაბედის ქუჩა, 53.

ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვსკი

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე. ქალები—დღის 1—2 საათამდე.

საპიორის ქ. №35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ექიმი ვ. ჩ. მამაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეც. (რენტგენი ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.

ექიმი მ. ფ. თოდაძე

[illegible] და [illegible] ავადმყოფობანი (თირკმლები-კუჭები, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—მკურნალობა გაიხალგაზრდავების თანამედროვე მეთოდებით და სხვ.), ცისტოსკოპია, ურეთროსკოპია, პიელოგრაფია.

დილის 8—9 საათ., საღამოს 4—6 საათამ, ბელგიის ქუჩა № 1.

ექიმი ა. გ. პართანოვი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

მიღება დილით 8—9 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე.

სურამის ქუჩა № 9, სადგურის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად.

ტომსკის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი

დ. ე. პაპიტაშვილი

იღებს ავადმყოფთ შინაგან სნეულ. ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე.

კრილოვის ქ. № 8. 625 25—1

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან ფუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა [illegible]

[illegible] მიღება 12—4 საათამდე და [illegible] ბარათაშვილის ქუჩა № 18 ([illegible] [illegible] ხიდის პირდაპირ)

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულებან

(სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი მალაევი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება **თვალების სნეულებაში.** მიღება დილის 8—9 საათამდე, საღამოს 6—7 საათამდე.

თვალის სამკურნალო, ელისაბედის ქ., 47.

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის მოწმობა № 9260. პავლე დავითის ძე პანკრატაძის სახელზე, ჩ. გ. 642 1—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 96, მოწმობა № 8707 და კავშირის წიგნაკი № 8208 ნოე თოდუას სახელზე. ჩ. გ.

ნ. 318 1—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი 1-ლ კომისარიატის მიერ გაცემული და პროფკავშირის წიგნაკი № 3699, ტიტე კვინტრაძის სახელზე, ჩ. გ.

640 1—1

ლაიკარგა საქ. კომპარტიის სენაკის მაზრის ორგანიზ. კანდიდატის ამხ. ოლია ილონის ასულის ჩიჩუას საკანდიდატო ბილეთი № 645. ჩაითვ. გაუქმებულად.

645 1—1

ა-კ. რკინის გზების სამმართველო

ამით აცხადებს რომ, ა. წ. 10 დეკემბრიდან, დილის 10 საათიდან თბილისის სალიკვიდაციო საწყობში (გორის ქუჩა, რკინის გზის ფარგლებში) მოხდება

საჯარო ვაჭრობა

ა. კ. რკინის გზის სხვადასხვა სადგურებზე მოუკითხავ საქონლისა და ბარგის გაყიდვაზე

ვაჭრობის დამთავრება და გაუყიდავ საქონელზე მეორეთ ვაჭრობის დანიშვნის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული ვაჭრობის მწარმოებელ კომისიის მიერ

ქვევით ნაჩვენებია ნომრები ქვითარებით, საქონლის თვისება, ნაჭრების რაოდენობა და წონა

1. მოუკითხავი საქონელი.

№ 115823—სასადილო მაგიდები 27 ადგილი. 11340 კილოგ. № 115830—ნაძვის მაგიდები 36 ნაჭერი, 11848 კილოგ. № 251282—ერთი ვაგონი ნაძვის მაგიდები, 10750 კილოგ. № 251294—ერთი ვაგონი ნაძვის მაგიდები, 13290 კილოგ. № 251295—1 ვაგონი ნაძვის მაგიდები, 20902 კილოგ. № 251281—ერთი ვაგონი ნაძვის მაგიდები, 13390 კილოგ. № 115839—34 ნაძვის მაგიდა, 15110 კილოგ. № 9440—ქაღალდი, 4 ადგილი, 288 კილოგ. № 8911, „შპალიერი“, 3 ადგილი, 248 კილოგ. № 228—პარტია კასრის ფიცრები. № 1483—სამოვარი, 2 ადგილი. № 57—ლამპის შუშა 14 ცალი. № 29528—ხის სკები, 8 ცალი, 320 კილოგ. № 120549—შინაური ვეჯი, ერთი ადგილი, 607 კილოგ. № 28062—ლოგინი, 1 ად., 14 კილოგ. № 35624—ყუთები, 6 ადგ., 171 კილოგ. № 35623—ცარიელი ყუთები, 6 ადგ. 149 კილოგ. № 153766 ცარიელი ბოთლები. 7 ადგ. 396 კილოგ. № 104134—ცარიელი ბოთლები, 2 ადგ. 100 კილოგ. № 13498—ქაღ. ეტიკეტები, 1 ადგ. 11 კილოგ. № 268712—ხის სკივრები; 2 ადგ. 14 კილოგ. № 94425 საწერი ქაღალდი, 2 ადგ. 222 კილოგ. № 107020—სიმინდი, 2 ადგ. 148 კ. № 31191—ზღვის მარილი 1 ადგ. 49 კ., № 82636—ცარ. ხის კასრები, 3 ადგ. 52 კ. № 126124—1 მატრაშა, 54 კ., № 156609—გამოურკვეველი, 1 ადგ. 16 კ. № 12904—18 ყუთი კოსმეტიკა, 742 კ. № 141405—ყდის მასალები, 1 ყუთი—68 კ. № 52060—1 ყუთი ქაღ. კონვერტები—29 კ. № 2874—11 ყუთი ლუდის ცარ. ბოთლები—553 კ. № 88858—2 ყუთი დოლი—45 კ. № 61643—რკ. რგოლი—1 მ.—151 კ. № 130558—3 ყუთი საგალანტ. საქ.—210 კ. № 12266—3 ყ. საგალანტ. საქ. 163 კ. № 53889—მუხის შპალები—180 ადგ.—15180 კ. № 61197—მუხის შპალები—180 ადგ.—14950 კ. № 9375—შუშის ჰურჭელი—5 ადგ.—250 კ. № 34256—1 ძელი—385 კ. № 66994—ცარ. ბოთლები—1 ადგ.—64 კ. № 4513—პურის ფქვილი—1 ადგ.—52 კ. № 2771—ცარ. ყუთები—6 ადგ.—165 კ. № 48726—1 სარკე—42 კ.

2. მოუკითხავი ბარგი

№ 35543—ლოგინი—1 ადგ.—15 კ., № 100384—1 ყუთი დაბეჭ. წიგნები—96 კ., № 196459—რადიო-მიმღები—2 ადგ.—64 კ., № 160995—სიმინდის ფქვილი—1 ადგ.—32 კ., № 124202—2 ადგ.—25 კ., № 145827—ბარგ.—ერთი ადგ.—21 კ., № 160945—ბარგი—1 ადგ. 27 კ., № 50833—1 ყ. ცარ. ბოთ.—50 კ., № 252446—ბარგი—1 ადგ.—22 კ., № 9495—ბარგ. 1—ადგ.—52 კ., № 3871—რკინა—1 ადგ. 73 კ., № 8842—ცარ. ყუთები—1 ადგ.—16 კ., № 34994—ბარგ. 1 ადგ.—32 კ., № 33347—ბარგი—5 ადგ.—25 კ., № 64532—სოკო—1 ადგ.—36 კ.

3. უსაბუთო საქონელი

№ 699—ძველი ტომრები—1 ადგ.—75 კ., № 9—ნაპ. საქ.—1 ადგ.—7 კ., № 266—ნაპ. საქ.—3 ადგ.—39 კ. № 268—ქერი—1 ადგ.—75 კ. № 267—ვაზის შესაკ. ხის ქერქი—1 ადგ.—13 კ. № 51—ხელის კალათები—1 ადგ.—1 კ. № 8—1 თუნუქ. ბიდ.—2 ნახ. კ. № 40864 ნაპ. ბარგი—4 ადგ.—39 კ. № 40821—ნაპოვნი საგ.—1 ადგ.—90 კ. № 139328—შინ. ავეჯი—1 ადგ.—10 კ. № 151597—11 ხის კასრი—882 კ. № 1903—სპილენძის ტაშტები—1 ადგ.—26 კ. № 48—სიმ. ფქვილი—1 ადგ.—3 ნახ. კ. № 49—1 ქალის ქუდი. № 50—1 ქალის პალტო—2 ნახ. კ. № 52—ნაპ. საგანი—1 კ. № 54—ნაპ. ბარგი—2 კ. № 55—ბარგი—4 ადგ.—4 ნახ. კ. № 56—ნაპ. საგანი—1 ადგ.—5 კ. № 57—ნაპ. საგ.—1 ნახ. კ. № 58—ნაპ. საგ.—9 კ. № 9429—ნაპ. საგ.—2 ადგ.—31 კ.

ნ. 320 1—1